პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

[illegible] 8 ოქტომბერი 1940 წ. № 233 (5934) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომზადებული შევხვდეთ ზამთარს რკინიგზაზე

ახლოვდება ზამთარი — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ყველაზე სერიოზული და პასუხსაგები პერიოდი. შემოდგომა და ზამთარი გაძლიერებული ტვირთზიდვის პერიოდებს წარმოადგენენ ტრანსპორტზე. მუშაობა მეტეოროლოგიურად არახელსაყრელ პირობებში, ყინვებსა და სიცივეში, ქარ-ბუქში, ნესტიან ამინდში, რკინიგზელებისაგან მეტ დაძაბულობას, მეტ სიფხიზლეს, მეტ ენერგიას მოითხოვს, მოითხოვს მზადყოფნას ყოველგვარი სტიქიური მოულოდნელობისათვის.

ამიტომაცაა, რომ ზამთრისათვის მზადებას რკინიგზის ტრანსპორტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. იგი ერთდროულ კამპანიურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ წარმოადგენს მუდმივ ღონისძიებას. ზამთრისათვის ზედმიწევნით მომზადება რკინიგზელების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. იმისათვის, რომ მატარებლებმა იმოძრაონ შეუფერხებლად, აუცილებელია ერთნაირად საუკეთესოდ იყოს მომზადებული ზამთრისათვის სარკინიგზო მეურნეობის ყოველი უბანი, ყოველი რგოლი, რადგან რომელიმე მათგანის შეფერხებას შეუძლია გავლენა იქონიოს რთული სატრანსპორტო კონვეიერის მთელ მუშაობაზე.

გასული წლის გამოცდილებიდან ვიცით, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელები თვითკმაყოფილებას მიეცნენ, სადაც ზამთრისათვის მზადებას ფორმალურად მიუდგნენ, პირველმავე თოვლმა იქონია გავლენა ტრანსპორტის მუშაობაზე (ბათუმისა და სამტრედიის სალიანდაგო დისტანციები).

ამგვარად, შემოდგომა-ზამთრის გაძლიერებული ტვირთზიდვის უნაკლოდ წარმოება მთლიანად დამოკიდებულია ამ პერიოდისათვის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრაზე.

ნამქერიან ადგილებში ლიანდაგის სათანადო ნამქერდამცველი ფარებით შემოფარგვლა, თოვლმწმენდების მომზადება, კოლმეურნეობებთან მუშახელის გამოყვანაზე ხელშეკრულების თავის დროზე გაფორმება, ლიანდაგის მიმდინარე რემონტის თავის დროზე ჩატარება, ორთქლმავლების დათბუნება, დეპოების რემონტი, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების დროზე უზრუნველყოფა, ყინვისგამძლე საზეთი და საცხები მასალის მომზადება, სასამსახურო ბინებისა და სიგნალიზაციის წესრიგში მოყვანა, საბუქსე და სტისრე მეურნეობათა მოწესრიგება, ჰიდროკოლონებისა და კადრების მომზადება, აი ის ძირითადი და გადაუდებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფენ ტრანსპორტის წარმატებულ მუშაობას ზამთრის პერიოდში.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზა, რომლის უკანასკნელი წლების მიღწევები ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებაში ცნობილია, საქმიანად ემზადება ზამთრისათვის, მაგრამ მაინც არა გვაქვს უფლება ვსთქვათ, რომ გზაზე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. ზამთრის შესახვედრად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ფაქტები მოწმობენ, რომ მთელ რიგ უბნებსა და საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი ეს მუშაობა. მთავარი, რაც ყურადღებას იქცევს, ეს ის არის, რომ აქამდე ყველა საწარმოს არ მოეპოვება აუცილებელ ღონისძიებათა დაზუსტებული გეგმები ზამთრის პირობებში ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ბევრია გასაკეთებელი კიდევ საყდ. ხაშურში (უფროსი ამხ. ქორქია), სადაც შემოწმებით დადასტურებულია, რომ ზამთრისათვის მზადება იქ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიდის. იგივე ითქმის სამტრედიის საორთქლმავლო განყოფილებაზე (უფროსი ამხ. გოგოლაძე), სადაც ნაკლებად ზრუნავენ დეპოების რემონტზე (გადახურვა, მინების ჩასმა). სამტრედიის სავაგონო უბანზედაც მთელ რიგ დეფექტებს აქვს ადგილი ზამთრისათვის მზადებაში. უკეთესი მდგომარეობა არც თბილისის საორთქლმავლო დეპოშია (უფრ. ამხ. სალარიძე), ბევრი ორთქლმავალი მოუმზადებელია, დეპოს ტერიტორია გაბინძურებულია, დეპოს შენობა მიმდინარე შეკეთებას საჭიროებს, ადმინისტრაცია კი ამ საქმეს რატომღაც აჭიანურებს. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაც არ მუშაობს ამ მხრივ წესიერად. იქ ძლიერ აჭიანურებენ თოვლმწმენდების რემონტს.

ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადების მაგალითებიც არის. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან თბილისის, სამტრედიისა და ხაშურის სალიანდაგო დისტანციები. სამტრედიის დისტანციაზე, მაგალითად, ლიანდაგი ძირითადად საუცხოო მდგომარეობაშია. თბილისის დისტანცია, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, წელს გაცილებით უკეთესად მომზადებული ხვდება ზამთარს. მთელს მანძილზე გზა კარგ მდგომარეობაშია. ენერგიულად ემზადებიან ზამთრისათვის ხაშურის სალიანდაგო დისტანციაზეც. მექანიზმების გამოყენებით იქ უმოკლეს ვადაში შესძლეს მთელი ხაზის გაჯანსაღება. ეს დისტანციები კარგ მაგალითებს იძლევიან კოლმეურნეობებთან მუშახელის მოწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმებასა და თოვლთან ბრძოლისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების დამზადებაში.

მათ მაგალითზე ტრანსპორტის დანარჩენ საწარმოებს შეუძლიათ ისწავლონ თუ როგორ უნდა ზამთრისათვის მზადება.

ერთი სიტყვით, გზაზე ზამთრისათვის მზადების მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უნდა დაირაზმოს ტრანსპორტის ყველა რგოლი, მობილიზებულ იქნას მთელი ძალები იმისათვის, რომ ზამთარს ყოველმხრივ მომზადებული შევახვედროთ ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტი. ზამთრისათვის მზადება მარტო სამეურნეო მუშაკების საქმე როდია. იგი ერთგვარად შეეხება სატრანსპორტო პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც. ეს საქმე შეეხება აგრეთვე ტერიტორიულ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ რკინიგზას ზამთრის პერიოდში სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

ყველა რკინიგზელს უნდა ახსოვდეს, რომ ზამთარი მისთვის სერიოზული გამოცდაა. ამ გამოცდის ჩაბარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გზის ყველა სამეურნეო მუშაკი, მეთაური, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები ბოლშევიკურად დაირაზმებიან სახკომის ბრძანებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ზამთრისათვის ტრანსპორტის თვითეული უბნის მოსამზადებლად ზამთრის დადგომამდე დარჩენილი ყოველი დღე მიზანშეწონილად უნდა იქნას გამოყენებული. არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი უბანი.

ყოველმხრივ მომზადებული შევახვედროთ ტრანსპორტი ზამთარს, ბოლშევიკური ორგანიზებულობით ვძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება — ასეთია საბრძოლო ამოცანა.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის დამატების შესახებ

დაემატოს 1939 წლის 1 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონს შემდეგი შინაარსის მუხლები:

1. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული მოქალაქენი მოვალენი არიან სამხედრო ნაწილში გამოცხადდნენ საკუთარი ვარგისი ტანსაცმლით გამოწყობილნი. მათ თან უნდა ჰქონდეთ: ერთი წყვილი საცვალი, ერთი ხალათი ან ქურთუკი, ერთი შარვალი, ვარგისი ფეხსაცმელი (ჩექმა ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი), თბილი პალტო ან ბამბიანი ქურთუკი, ქუდი და საკუთარი ნივთების ჩასალაგებელი ჩანთა.

სამხედრო ნაწილში შისვლისას, ნამდვილ სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთ ეძლევათ სახაზინო სამხედრო ფორმის ტანსაცმელი დაწესებული ნორმების მიხედვით, ხოლო ახალწვეულთა საკუთარ ნივთებს სამხედრო ნაწილები მიიღებენ ჯარის საწყობებში შესანახად მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ახალწვეული ნამდვილ სამხედრო სამსახურში იქნება.

2. სამხედრო ნაწილებიდან რიგითი და უმცროსი უფროსშემადგენლობის თადარიგში დათხოვნისას, მათ ხელში არსებული სამხედრო ფორმის ტანსაცმელი მთლიანად ჰბარდება ჯარის საწყობებს, ხოლო მათ უბრუნდებათ საკუთარი ტანსაცმელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 4 ოქტომბერი.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. პ. გ. მოსკატოვის (თავმჯდომარე) და კოლეგიის წევრების: ამხ. გ. ი. ზელენკოს (პირველი მოადგილე), ი. ტ. რემიზოვის (მოადგილე), ვ. ვ. პროკოფიევის (მოადგილე), ტ. ი. სალტიკოვის, ა. ზ. ჩუდინოვსკისა და პ. ა. მოისეევის შემადგენლობით.

## ნავთის მრეწველობის მუშაკთა ბრიგადების სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

ბურღვის ოსტატის ამხ. ვანესოვის („სტალინნეფტის“ ტრესტი), ნავთის ამოღების ოსტატის ამხ. ნიკულაევის („კიროვნეფტის“ ტრესტი), ამხ. უხაროვის (მოსკოვის № 1 ნეფტეგაზის ქარხანა) ბრიგადებმა და ნავთის მრეწველობის მთელმა რიგმა სხვა სტახანოველებმა შეიტანეს წინადადება — მოეწყოს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ბურღვის, ნავთის ამოღებისა და გადამუშავების საუკეთესო ბრიგადაზე.

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და ნავთის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს სტახანოველთა ინიციატივას. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადებს ყოველკვარტალურად მიუსჯიან გარდამავალ წითელ დროშებს და მიანიჭებენ შემდეგს სახელწოდებას: „სსრ კავშირის საუკეთესო მბურღავი ბრიგადა“, „სსრ კავშირის ნავთის მოპოვების საუკეთესო ბრიგადა“ და „სსრ კავშირის ნავთსახდელი დანადგარის საუკეთესო ბრიგადა“ (საკდესი).

## ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების სწავლება

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა გადასწყვიტა აკადემიებთან და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან საღამოსი და დაუსწრებელი განყოფილება მოაწყოს ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების სწავლებისათვის. სწავლება იქნება წარმოებაზე მოუწყვეტლად სამრეწველო აკადემიების სასწავლო გეგმების მიხედვით.

საღამოსი და დაუსწრებელი განყოფილებები იქმნება ი. ბ. სტალინის სახელობის სრულიად-საკავშირო სამრეწველო აკადემიასთან, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სრულიად-საკავშირო სამრეწველო აკადემიასთან, კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების აკადემიასთან, სრულიად-საკავშირო სავაჭრო აკადემიასთან, ურალის ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტთან, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, სტალინგრადის, კრივოი როგის, სტალინსკის, გორკის, არხანგელსკისა და ბაქოს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან.

ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები შეისწავლიან შემდეგს სპეციალობას. შავი ლითონების მეტალურგიას, ორგანიულ და არაორგანიულ ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიას, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიას, ავტოსატრაქტორო და გაზგენერატორულ მანქანათმშენებლობას, ავტომობილების რემონტსა და ექსპლოატაციას, ელექტრომანქანათა მშენებლობას, სამთამადნო მანქანათმშენებლობას, ქალაქის ტრანსპორტის ექსპლუატაციას და სხვ.

ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა სწავლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მეცადინეობა დაიწყება 7 ოქტომბერს. (საკდესი).

## XII საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეთა საღამო

4 ოქტომბერს მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, შესდგა საღამო, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის ახლახან დამთავრებულ XII საჭადრაკო ჩემპიონატს. ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სნეგოვი. სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგებზე ინფორმაციით გამოვიდა ტურნირის მთავარი მსაჯი ამხ. ფოგელევიჩი.

შემდეგ საჭადრაკო ჩემპიონატის დაჯილდოებულ მონაწილეებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის სრულიად-საკავშირო კომიტეტის სიგელები და ჟეტონები.

საღამოს დაესწრნენ დედაქალაქის საუკეთესო მოჭადრაკენი და ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

დასასრულ, გაიმართა დიდი კონცერტი.

O

საღამოზე გამოქვეყნებულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის ბრძანება უხუცესი საბჭოთა მოჭადრაკის ნ. რიუმინისათვის დამსახურებული ოსტატის სახელწოდების მინიჭების შესახებ. (საკდესი).

## დატვირთვის 9 თვის გეგმა ვადამდე შეასრულეს

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზამ ვადამდე შეასრულა დატვირთვის 9 თვის გეგმა. 9 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით დატვირთულია 22.917 ვაგონი.

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1940 წ. 4 ოქტომბერს

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1

მოსკოვი, 1940 წ. 4 ოქტომბერი

[illegible]

„სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების და „სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად ვბრძანებ:

1. სახელოსნო სასწავლებლებსა და რკინიგზის სასწავლებლებში მიღებულ იქნას ქალაქისა და კოლმეურნეობათა მამრობითი სქესის 14-15 წლის ასაკის ახალგაზრდობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს სულ მცირე დაწყებითი სკოლის ან საშუალო სკოლის 4 კლასის განათლება.

2. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მიღებულ იქნას ქალაქისა და კოლმეურნეობათა მამრობითი სქესის 16-17 წლის ასაკის ახალგაზრდობა მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება.

3. როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მოსწავლენი საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებისა, რომლებიც სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებად და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებად გადაკეთდება, სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ.

4. რკინიგზის სასწავლებლებში მიღებისას უპირატესობა ეძლევათ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა შვილებს.

5. ნება დაერთოთ სახელოსნო სასწავლებელთა, რკინიგზის სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დირექტორებს გამონაკლისის სახით მიიღონ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებიდან, რომლებიც სახელოსნო სასწავლებლებად, რკინიგზის სასწავლებლებად და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებად გადაკეთდება, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ის მოსწავლენი, რომელთა ასაკიც სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მიღებისათვის დაწესებულ ასაკს აღემატება.

6. რადგან სახელოსნო სასწავლებლები და რკინიგზის სასწავლებლები რთული პროფესიების მუშებს ამზადებენ, სახელოსნო სასწავლებლებში და რკინიგზის სასწავლებლებში შემოღებულ იქნას, გარდა საწარმოო სწავლებისა, იმ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების სწავლება, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ პროფესიის შესწავლასთან.

7. სასწავლო წლის დასაწყისად სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში დაწესდეს 1 სექტემბერი. როგორც გამონაკლისი, 1940 წელს სასწავლო წელი სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში დაიწყოს 1 დეკემბერს.

8. სასწავლო დღის ხანგრძლივობა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში განისაზღვროს 7 საათით, შემდეგი ანგარიშით: 5 საათი საწარმოო სწავლებისათვის და 2 საათი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინებისათვის.

9. სასწავლო დღის ხანგრძლივობა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში განისაზღვროს 8 საათით.

10. სახელოსნო სასწავლებლებში და რკინიგზის სასწავლებლებში სწავლა უფასოა. მოსწავლენი სწავლის პერიოდში სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, კვებით, ტანისამოსით, სპეცტანისამოსით, თეთრეულით, ფეხსაცმლით, ხოლო სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი — საერთო საცხოვრებლებითაც.

11. სახელოსნო სასწავლებელთა და რკინიგზის სასწავლებელთა მოსწავლეთათვის შემოღებულ იქნას სპეციალური ფორმის ტანისამოსი.

12. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სწავლა უფასოა. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლენი სწავლის პერიოდში სახელმწიფო ხარჯზე იქნებიან უზრუნველყოფილი კვებით, თეთრეულითა და სპეცტანისამოსით, ხოლო სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი — საერთო საცხოვრებლითაც.

13. სახელოსნო სასწავლებლის, რკინიგზის სასწავლებლის ან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის დამთავრების შემდეგ თვითეულ მოსწავლეს ეძლევა სასწავლებლის ან სკოლის დამთავრების ატესტატი შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, ამასთან ატესტატში აუცილებლად აღინიშნება, რომ მან ჩააბარა სინჯი ან გამოცდა და მიიღო თავისი პროფესიის გარკვეული თანრიგი.

14. დაწესდეს, რომ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში უნდა იყვნენ: სასწავლებლის დირექტორი, სასწავლო-საწარმოო ნაწილის გამგე, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების მასწავლებლები, ერთი უფროსი ოსტატი თვითეულ სასწავლებელზე და, გარდა ამისა, პროფესიის მასწავლებელი ერთი ოსტატი ყოველ 25 მოსწავლეზე.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა საერთო საცხოვრებლებში უნდა იყვნენ: საერთო საცხოვრებლის კომენდანტი და აღმზრდელი სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების დარგში, რომელნიც სასწავლებლის დირექტორს დაექვემდებარებიან.

15. დაწესდეს, რომ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში უნდა იყვნენ: სკოლის დირექტორი. ერთი უფროსი ოსტატი სკოლაზე და, გარდა ამისა, ერთი ოსტატი ყოველ 30-40 მოსწავლეზე.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების საერთო საცხოვრებლებში უნდა იყოს საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, რომელიც სკოლის დირექტორს დაექვემდებარება.

16. დაწესდეს, რომ თვითეულ სახელოსნო სასწავლებელს, რკინიგზის სასწავლებელსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების თვითეულ სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

17. ნება დაერთოს სახელოსნო სასწავლებლებს, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს შეასრულონ სახელმწიფოს ელემენტარული საწარმოო დაკვეთები. დაწესდეს, რომ ამ დაკვეთების შესრულებით, აგრეთვე წარმოებაში მოსწავლეთა მიერ სწავლის პროცესში შესრულებულ სამუშაოდან მიღებული შემოსავლის 1/3 შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, 1/3 რჩება დირექტორის განკარგულებაში სასწავლებლის ან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის გასაფართოებლად და მოსწავლეთა, ოსტატთა და მასწავლებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, ხოლო 1/3 ხელზე ეძლევათ მოსწავლეებს, რომლებმაც სამუშაო შეასრულეს.

18. დამტკიცდეს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დასაკომპლექტებლად გასაწვევთა განაწილების შემდეგი გეგმა 1940 წლის 1 დეკემბრისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით:

| ოლქები, მხარეები, რესპუბლიკები | მოსწავლეთა კონტინგენტი: სახელოსნო სასწავლებლები | რკინიგზის სასწავლებლები | საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები | სულ |
|---|---|---|---|---|
| ლენინგრადისა | 67.000 | 900 | 9.000 | 76.900 |
| მოსკოვისა | 63.000 | 1.660 | 10.000 | 74.660 |
| გორკისა | 15.000 | 250 | 3.000 | 18.250 |
| ხარკოვისა | 10.000 | 900 | 6.000 | 16.900 |
| როსტოვისა | 10.000 | 200 | 7.000 | 17.200 |
| [illegible] | 8.000 | 810 | 27.000 | 35.810 |
| სვერდლოვსკისა | 8.000 | 400 | 8.000 | 16.400 |
| დნეპროპეტროვსკისა | 7.200 | 700 | 7.400 | 15.300 |
| მოლოტოვისა | 7.000 | 170 | 3.000 | 10.170 |
| ჩელიაბინსკისა | 7.000 | 670 | 8.000 | 15.670 |
| იაროსლავლისა | 6.800 | 900 | 5.000 | 12.700 |
| ვოროშილოვგრადისა | 6.000 | — | 8.000 | 14.000 |
| ნოვოსიბირსკისა | 6.000 | 850 | 2.000 | 8.850 |
| აზერბაიჯანის სსრ | 5.000 | — | 10.000 | 15.000 |
| კიევისა | 5.000 | 600 | 6.000 | 11.600 |
| [illegible] | 5.000 | 620 | 7.000 | 12.620 |
| [illegible] | 4.750 | 750 | 6.000 | 11.500 |
| [illegible] | 5.000 | — | 5.000 | 10.000 |
| [illegible] | 4.800 | — | 6.000 | 10.800 |
| [illegible] | 4.450 | 250 | 7.000 | 11.700 |
| [illegible] | 4.450 | 280 | 6.000 | 10.730 |
| [illegible] | 4.500 | 1.660 | 10.000 | 16.160 |
| [illegible] | 4.400 | — | 3.000 | 7.400 |
| [illegible] | 4.000 | 300 | 4.000 | 8.300 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 2.800 | — | 7.000 | 9.800 |
| [illegible] | 2.800 | 300 | 1.600 | 4.700 |
| კალინინისა | 2.800 | 550 | 1.500 | 4.850 |
| კრასნოდარის მხარე | 2.600 | 500 | 2.000 | 5.100 |
| თათრეთის ასსრ | 1.800 | — | 3.000 | 4.800 |
| სმოლენსკისა | 1.700 | 300 | 6.000 | 8.000 |
| პენზისა | 1.600 | 250 | 2.600 | 4.450 |
| ჩკალოვისა | 1.500 | 550 | 3.000 | 5.050 |
| არხანგელსკისა | 1.500 | — | 2.000 | 3.500 |
| კურსკისა | 1.400 | 330 | 2.500 | 4.230 |
| ბაშკირეთის ასსრ | 1.200 | 350 | 1.200 | 2.750 |
| კარელია-ფინეთის სსრ | 1.200 | — | 1.000 | 2.200 |
| ირკუტსკისა | 1.200 | 400 | 3.000 | 4.600 |
| რიაზანისა | 1.200 | 500 | 1.500 | 3.200 |
| ტამბოვისა | 1.200 | 630 | 1.000 | 2.830 |
| სუმისა | 1.200 | 450 | 800 | 2.450 |
| ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ | 1.200 | — | 3.000 | 4.200 |
| ომსკისა | 1.000 | 800 | 2.000 | 3.800 |
| პრიმორიეს მხარე | 800 | 300 | 4.000 | 5.100 |
| ყაზახეთის სსრ | 800 | 1.180 | 3.500 | 5.480 |
| ხაბაროვსკის მხარე | 550 | 450 | 4.000 | 5.000 |
| კიროვისა | 800 | 300 | 4.000 | 5.100 |
| კრასნოიარსკის მხარე | 800 | 380 | 1.400 | 2.580 |
| ჩიტისა | 800 | 400 | 1.000 | 2.200 |
| დაღისტნის ასსრ | 800 | — | 500 | 1.300 |
| პოლტავისა | 800 | 300 | 1.500 | 2.600 |
| ბურიატ-მონღოლეთის ასსრ | 600 | 280 | 600 | 1.480 |
| სომხეთის სსრ | 600 | — | 400 | 1.000 |
| ვოლოგდისა | 600 | 200 | 1.400 | 2.200 |
| ჟიტომირისა | 400 | — | 1.600 | 2.000 |
| ვინიცისა | 400 | 430 | 400 | 1.230 |
| ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ | 400 | 200 | 400 | 1.000 |
| კომის ასსრ | 400 | — | 400 | 800 |
| ჩერნიგოვისა | 400 | — | 600 | 1.000 |
| ალტაის მხარე | 400 | 250 | 400 | 1.050 |
| კიროვგრადი | 400 | — | 400 | 800 |
| მორდვეთის ასსრ | 400 | 300 | — | 700 |
| ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ | 300 | — | 400 | 700 |
| უზბეკეთის სსრ | — | 600 | 4.000 | 4.600 |
| თურქმენეთის სსრ | — | 200 | 1.000 | 1.200 |
| ორჯონიკიძის მხარე | 400 | 250 | 800 | 1.450 |
| ჩუვაშეთის ასსრ | — | 200 | 500 | 700 |
| კამენეც-პოდოლსკისა | — | — | 400 | 400 |
| ლვოვისა | — | 300 | — | 300 |
| როვნოსი | — | 150 | — | 150 |

19. დაწესდეს, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინის, ვოროშილოვგრადის, სვერდლოვსკის ოლქებისა, პრიმორიეს და ხაბაროვსკის მხარეებისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დასაკომპლექტებლად გარდა იმისა, რომ ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობა გაიწვევა (მობილიზებული იქნება) ზემოაღნიშნული ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკის ფარგლებში, სხვა ოლქებიდან დამატებით გამოიყოფა, თანახმად ამ ბრძანების მე-18 პუნქტში აღნიშნული კონტინგენტებისა, გასაწვევთა შემდეგი რაოდენობა:

მოსკოვის ოლქში —25.000 კაცი,
მათ შორის:
რიაზანის ოლქიდან — 7.000 „
კურსკის ოლქიდან — 7.000 „
ორიოლის ოლქიდან — 6.000 „
ტამბოვის ოლქიდან — 5.000 „
ლენინგრადის ოლქში —36.500 „
მათ შორის:
ბელორუსიის სსრ-დან —13.500 „
კალინინის ოლქიდან —11.000 „
სმოლენსკის ოლქიდან — 8.000 „
ვოლოგდის ოლქიდან — 4.000 „
სტალინის ოლქში —20.000 „
მათ შორის:
თათრეთის ასსრ-დან — 5.000 „
ბელორუსიის სსრ-დან — 4.000 „
პოლტავის ოლქიდან — 3.000 „
ორიოლის ოლქიდან — 3.000 „
კურსკის ოლქიდან — 3.000 „
სუმის ოლქიდან — 2.000 „
პრიმორიეს მხარეში
ნოვოსიბირსკის ოლქიდან — 2.000 „
ვოროშილოვგრადის ოლქში
ჩერნიგოვის ოლქიდან — 1.700 „
სვერდლოვსკის ოლქში
ბაშკირეთის ასსრ-დან — 1.300 „
კარელია-ფინეთის სსრ-ში
ვოლოგდის ოლქიდან — 1.000 „
ხაბაროვსკის მხარეში
ომსკის ოლქიდან — 800 „

20. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ნებაყოფლობითი შეკრების წესით მიღებული პირნი მობილიზებულად ჩაითვლებიან და მათზე გავრცელდება მობილიზაციის წესით მიღებულთა ყველა უფლება-მოვალეობა.

შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსი **პ. მოსკატოვი**

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება
### ამხ. პ. თ. ალფერიევისათვის გენერალ-მაიორის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას მთავრობის კომისიის წინადადება ამხ. პეტრე თევდორეს-ძე ალფერიევისათვის გენერალ-მაიორის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. ხლომოვი**

მოსკოვი, კრემლი 1940 წ. 4 ოქტომბერი.

## მზადება ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების 85 წლისთავისათვის

**მინსკი,** ორდენოსანი მწერლის ლინკოვიასის თავმჯდომარეობით შეიქმნა დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების 85 წლისთავის მომწყობი კომისია; 85 წლისთავი ნოემბერში სრულდება. კომისიის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის სახალხო პოეტები — იანკა კუპალა და იაკუბ კოლასი, მწერლები—პ. ბროვკო, ი. ბრონევსკაია, ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარი ამხ. ურალოვი და სხვ.

## ორი ფაბრიკის მუშათა მიწერ-მოწერა

**კაუნასი.** კაუნასის ფაბრიკა „კოტონის“ კოლექტივმა წერილით მიჰმართა ვიტებსკის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „კიმის“ მუშებს; წერილში ნათქვამია:

„გვინდა რაც შეიძლება უკეთ ვიმუშაოთ, რათა სსრ კავშირის მოწინავე სატრიკოტაჟო საწარმოთა რიგებში ვიყოთ. მოგმართავთ დახმარებისათვის, რათა გადმოვიღოთ ფაბრიკა „კიმის“ სტახანოველთა მუშაობის გამოცდილება... გვასწავლეთ როგორ გავხადოთ მოკლე ხანში ჩვენი საწარმო მოწინავე საწარმოდ“.

კაუნასის გაზეთ „ტრუჟენიკში“ გამოქვეყნებულია ვიტებსკიდან მიღებული საპასუხო წერილი. წერილი ფაბრიკა „კიმის“ შვიდი ათასიანი კოლექტივის დავალებით ხელმოწერილია ფაბრიკის წარჩინებული ადამიანების მიერ და დაწვრილებით იუწყება ამ საწარმოს ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. (საკდესი).

4 ოქტომბერი.

7 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის (რუსთაველის პროსპ. № 33/35) სალექციო დარბაზში შესდგება დოც. ე. ბურჭულაძის ლექცია ქართულ ენაზე, თემა: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“.

ბილეთების ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის სალაროში 12 საათიდან 8 საათამდე, და ყველა რაიპარტკაბინეტში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

# საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს ბრძანებულებას სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ

## გვეყოლება კვალიფიციური ზეინკლები, ხარატები, მემანქანეები

[illegible]

ვლ. საჯაია

## ახალგაზრდობა სიხარულით წავა ახალ სასწავლებლებში

[illegible] ...ძლებოდა. პირიქით, ჩვენ თვითონ გვახდევინებდნენ სწავლის ფულს. მაგონდება 1911 წლის ამბავი. 6 კაცი შევიკრიბენით, ფული შევაგროვეთ და კერძოდ მივებარეთ [illegible] ...ახალგაზრდებს მოვუწოდო: შედით რკინიგზის სასწავლებლებში, ისწავლეთ ორთქლმავლის მართვა!

**თ. კვინტრაძე**

გზათა სახალხო კომისარიატის ინსპექტორი თბილისის საორთქლმავლო დეპოში.

## კოლმეურნე ახალგაზრდობა სიხარულით მიდის სასწავლებლებში

**გორი**, 5 ოქტომბერი („კომუნისტის" კორ.) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ გორის რაიონის მშრომელებში საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

კოლმეურნე ახალგაზრდობა უდიდეს სიხარულს განიცდის სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ყოველწლიური გაწვევის შემოღების გამო.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მითითებით ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის აგიტატორებმა უკვე გააჩაღეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებების გასაცნობად.

**ს. ყურაშვილი**

## სურვილს ასხამენ შეუერთდნენ სახელოსნო და რკინიგზის სკოლებში

**ბათუმი**, 5 ოქტომბერი („კომუნისტის" კორ.). [illegible]

## სტალინური ზრუნვა ახალ კადრებზე

[illegible]

მექვაბეთა ბრიგადირმა, ორდენოსანმა ამხ. ვ. მიხანაშვილმა სთქვა:

— მეტად დროული და მოწონების ღირსია მთავრობის ეს ღონისძიება. დღემდე საორთქლმავლო [illegible]

ლენინურ ბრძანებულებას და დადგენილებებს მოწონებით შეხვდნენ აგრეთვე ზეინკლები ამხ. შ. ხიზანიშვილი, ტატულაშვილი, გ. კოვალიოვი, მემანქანე ამხ. ილოშვილი და სხვ.



თბილისი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროს მუშებს აგიტატორი გ. ფხაკაძე აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ". ფოტო გ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საქდესის კორესპონდენტმა ინახულა საზენიტო ქვემეხთა ლონდონის ერთერთი საველე ბატარია

**ლონდონი**, 3 ოქტომბერი (საქდესი). ამ დღეებში საქდესის კორესპონდენტს შესაძლებლობა მიეცა ღამე გაეთია ინგლისის საზენიტო არტილერიის ერთერთ საველე (საველე ბატარიის) სადგურში, რომელიც დადგმულია ლონდონის რაიონში, რათა ინგლისის დედაქალაქი დაიცვას გერმანიის ავიაციის თავდასხმისაგან.

ეს ბატარია, რომელიც შეიარაღებულია 3,7 დუიმიანი ყალიბის საზენიტო ქვემეხებით ისევე, როგორც სხვა მრავალი ანალოგიური ბატარია, დადგმულია ერთერთს მაღლობზე, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის ვეებერთელა სარტყელს წარმოადგენს ბრიტანეთის დედაქალაქის ირგვლივ.

პატარა მინდვრის შუაგულში აგებულია საკონტროლო პუნქტი. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა მოედანს, რომელიც გარშემორტყმულია ერთ მეტრ სიმაღლეზე დაწყობილი ქვიშიანი ტომრებით. ამ მოედანზე არის ზუსტი ხელსაწყოები და ტელეფონის ბეტონის ჯიხური. სულ ახლო ნახევარწრედ დადგმულია ქვემეხები. ცოტა დაშორებით აგებულია 15-მდე ფანერის სახლი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს სადგურის (ბატარიის) მომსახურე პერსონალი — 130 კაცი. კუთხეებში დადგმულია მძიმე ტყვიამფრქვევები მოპიკირე ყუმბარმშენებთან ბრძოლისათვის. თვითეული ეს ტყვიამფრქვევი ქვიშიანი ტომრების ლობურებს გადაღმა არის.

უკვე ღამდებოდა, როდესაც საქდესის კორესპონდენტმა ბატარიის შესასვლელთან თავისი დოკუმენტები წარადგინა. ბატარიის მეთაურმა საქდესის კორესპონდენტს გამართვა სამხედრო სამინისტროს ნებართვა, თავაზიანად შეეგება საბჭოთა პრესის წარმომადგენელს და საჰაერო განგაშის დაწყებამდე მოასწრო ზოგადად აეწერა მისდამი დაქვემდებარებული სადგურის მუშაობა.

...გაისმის საყვირის ნაცნობი ღრიალი, „ღრიალა ნალმისა", როგორც მას ლონდონელებმა უწოდეს. დავხედეთ საათს: ღამის განგაშის დაწყების ჩვეულებრივი დროა. სალამოს ცვლა უკვე საქმით არის გართული ქვემეხებისა და საკონტროლო მექანიზმების მახლობლად. მაგრამ იგი არც ახლა ჩქარობს: გამოცხადებულია საერთო ლონდონის და არა ადგილობრივი განგაში. უმცროსი მეთაურები და სერჟანტები მესამეჯერ ამოწმებენ მექანიზმებს. ყველა ჯარისკაცი დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობს. მაგრამ უეცრად სადღაც შორს გაისმის ყუმბარების აფეთქების ხმა და საზენიტო ბატარიების ბათქი. ცაზე სინათლის ლაქები ჩნდება, რომლებიც ღრუბლებში დასცურავენ. აქა-იქ ღრუბლებში თვალისმომჭრელი ბრჭყვიალა წერტილები ჩნდება. ეს არის საზენიტო არტილერიის ჭურვების აფეთქება. სულ უფრო ხმამაღლა ისმის სხვადასხვა ადგილას გერმანიის უხილავი თვითმფრინავის გუგუნი; თვითმფრინავი ცდილობს საზენიტო არტილერიის გადამღობი ცეცხლი გაარღვიოს და წინ წამოვიდეს. ბოლოს, როგორც სჩანს, გერმანიის თვითმფრინავი ხელს იღებს იმაზე, რომ ცეცხლი პირდაპირ გაარღვიოს და შემოვლით მოიმართება ლონდონისაკენ, ჩვენსკენ. ცას პროჟექტორების სხივები ანათებენ, მაგრამ თვითმფრინავი მაინც არა სჩანს.

უეცრად გვერდით გაისმის საკონტროლო სადგურის ხანგრძლივი სიგნალი. ეს სიგნალი იმას ნიშნავს, რომ გერმანიის თვითმფრინავი ამ საზენიტო ბატარიის მოქმედების სფეროში გამოჩნდა. ერთდროულად საკონტროლო სადგური ტელეფონით იტყობინება მტრის თვითმფრინავის დაახლოებით კოორდინატებს. მორიგი ხმამაღლა იმეორებს (ციფრებს) და თან ბრძანებს: „ხმის მიხედვით დაუმიზნე" ქვემეხთა ლულა შესაბამისად ალიმართება მაღლისაკენ. ტელესკოპიდან და კუთხმზომიდან მიზნის კუთხეს იტყობინებიან: „10.200 ფუტი",—იძლევა სიგნალს ოპერატორი. ქვემეხებიდან ლითონის ჩხარა-ჩხური მოისმის. ფუთნახევრიანი ჭურვები ადგილზეა. გამოსარკვევი რჩება მილაკები. აქ მოქმედებას იწყებს შესანიშნავი „საიდუმლოებათა ყუთი" (საქდესის კორესპონდენტს მასთან არ უშვებენ)—„პრედიქტორი" ანუ „წინასწარმეტყველი" —„უმაღლესი მათემატიკის სასწაული". სერჟანტი ამაზე პატივისცემით ლაპარაკობს: „მან ყველაფრის გაკეთება იცის; ერბო-კვერცხს-ღა თუ ვერ მოამზადებს". პრედიქტორის სახელურებისა და ციფერბლატების მახლობლად ოთხი კაცი მუშაობს. კოორდინატების გამოცხადების მიხედვით, მათ სწრაფად მოჰყავთ მოქმედებაში ხელსაწყოები და შესწორებანი შეაქვთ—ქარის მიხედვით, გერმანიის თვითმფრინავის სიჩქარის მიხედვით და სხვ. ყოველივე ეს სწრაფად სწარმოებს. მორიგის პირველი ბრძანებიდან სამი წამის შემდეგ გაისმის ლითონის ტკაცანი: პრედიქტორმა დათვლა დაამთავრა, და ციფერბლატზე ციფრი გაჩნდა. „მილაკი 1-7", — გაიძახის ოპერატორი. „არის, 1-7", — უპასუხებენ ქვემეხთან მყოფნი. ერთი წამის შემდეგ ქვემეხთა ლულიდან ამოვარდება თვალისმომჭრელი ყვითელი ალი, გაისმის გამაყრუებელი ბათქი; ჭურვები შიშინით მაღლა მიჰქრიან, რათა გზა გადაუღობონ მტრის თვითმფრინავს. რამდენიმე წუთის შემდეგ ისმის აფეთქების შორეული გრიალი. ზუზუნი გრძელდება, და ხელახლა მეორდება სროლისათვის მზადებისა და თვითონ სროლის იგივე პროცესი. მაგრამ ამჯერად ზედიზედ ექვსი გასროლაა და კვლავ — მთელი ბატარიის ბათქი. ყურს ვუგდებთ: ზუზუნი წყნარდება. მეთაური ზეიმურად აცხადებს: „თვითმფრინავი გაბრუნდა და № — მიმართულებით წავიდა". მართლაც, მალე მოისმა მეზობელი ბატარიის ბათქი, უფრო შორს განაპირაზე. ბატარიის ამოცანა შესრულებულია.

გერმანიის ავიაციის ახალი თავდასხმის მოლოდინში მეთაური საქდესის კორესპონდენტთან ერთად ბნელში იქეთ-აქეთ დადის და კვლავ ახსნა-განმარტებას იძლევა. იგი ამბობს: ამ დღეებში მის ბატარიას გერმანიის თვითმფრინავისათვის მოუხვედრებია, მაგრამ საერთოდ, ღამის სროლის დროს ბატარია მცირე წარმატებას სჯერდება — აიძულოს მტერი, რათა გზას გადაუხვიოს.

ეს ბატარია სხვა სექტორების ბატარიებთან ერთად კომბინირებულ მოქმედებას ახორციელებდა მრავალი საჰაერო „სტუმრის" წინააღმდეგ. ამ დროს ნამდვილი ცეცხლის ფარდა ჩნდება. „მაშინ ჭურვები არ გვენანება,—ამბობს ბატარიის მეთაური, — მით უფრო, რომ ამ ომში ისეთი ნაკლებობა ხომ არა გვაქვს საომარი მასალის მხრივ, როგორიც წარსული ომის დროს გვქონდა".

ბატარიის მეთაური აღნიშნავს, რომ მისდამი რწმუნებული ბატარიის პირადი შემადგენლობა ცოტა ხანია, რაც შედგენილია, და ჯარისკაცთა უმრავლესობა არმიაში სულ რამდენიმე თვეს იმყოფება. ამასთანავე მეთაური სიამაყით ამბობს, რომ ჯარისკაცებმა სამი თვე სპეციალურ საზენიტო სკოლაში გაატარეს და სასინჯს სროლაში კარგი შედეგები გვიჩვენეს: დაიწყეს ეფექტიანობის 40 პროცენტით და 90 პროცენტით დაამთავრეს.

აქ ჩვენ ახალმა განგაშმა შეგვაწყვეტინა. ეს განგაში დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მაგრამ ორჯერ გავხდით იძულებული მიწაზე გაგვწოლილიყავით, როცა ბნელში ზუზუნით გვიახლოვდებოდა [illegible], რომლის შესახებაც გვიხდებოდა მარჩიელობა თუ რა იყო იგი — გერმანული ყუმბარა თუ ინგლისური შრაპნელის ნამსხვრევი. ღამის სამ საათზე უკანასკნელი სროლა მოხდა. ამ სროლამ ჩვენ უკვე საწოლებზე მოგვისწრო.

დილით უფრო ახლოს გავეცანი ჯარისკაცებს, რომლებიც საზენიტო ბატარიაში მსახურობენ. ესენი ახალგაზრდა, 23-24 წლის მუშები არიან—სამთამადნო მუშები, ტრანსპორტის მუშები, მბეჭდავები, მექანიკოსები. მათ შორის მოსამსახურე და არაკვალიფიციური მუშა მცირე პროცენტს შეადგენს. „რომელი თქვენგანია პროფკავშირის წევრი?"—შევეკითხე ჯარისკაცთა ერთ ჯგუფს. 9 ჯარისკაცთაგან 7 ჯარისკაცმა დასტურით მიპასუხა: ორი ჯარისკაცი სამთამადნო მუშათა (სამხრეთ უელსიდან) პროფკავშირის წევრი აღმოჩნდა, ორი ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის წევრი, ერთი — მღებავთა კავშირისა, ერთი მკინძავთა კავშირისა და სხვ. ეს ცოტათი ჰგავს წარსულ ომს, როდესაც ინგლისის ჯარისკაცთა შორის იშვიათად შეხვდებოდით პროფკავშირის წევრს. არც პირობები ჰგავს წარსულ ომს—ბრეზენტის საწოლები, ღამის თეთრეული, უნტერ-ოფიცერთა ზრდილობიანი მოქცევა და სხვ. ბატარიის ოფიცრები კადრისანი არ არიან: ბატარიის მეთაური მაიორი ვ.—პროფესიით იურისკონსულტია, მისი თანაშემწე — მუნიციპალური მოხელე, ლეიტენანტები — დაზღვევის აგენტი — ინჟინერი და სხვა.

ბატარიას სალაშქრო სახე ჯერ კიდევ არ მიუღია—იგი მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც გამართულია. მაგრამ ეს სამზარეულოს არ დასტყობია. მზარეული—კაპრალი (სამთამადნო მუშა, რომელიც იმავე სოფლიდან არის, სადაც დაიბადა ცნობილი ინგლისელი კომუნისტი, სამთამადნო მუშათა სამხრეთ-უელსის ფედერაციის თავმჯდომარე ჰორნერი) მენიუს მიჩვენებს. დილით ბატარიაში აძლევენ ჩაის, შოტლანდიურ შვრიის ფაფას და, რასაკვირველია, ინგლისურ შაშხს ან კვერცხით, ან ძეხვით და სხვ. სადილად—ხორცის კერძს და ინგლისისათვის ტრადიციულ ბოსტნეულსა და ტკბილეულს. 17 საათზე ჩაის, ზედ პურს კარაქით ან მარგარინით, მურაბასა და ნამცხვარს. 19 საათზე—ვახშამს. ვახშმად იძლევიან ან ხორცის კერძს ანდა კონსერვებს. ყოველდღე ბატარიაში აძლევენ სამმეოთხედ გირვანქა პურს, სამმეოთხედიდან ერთ გირვანქამდე ხორცს, სამმეოთხედ გირვანქა კარტოფილს, ნახევარგირვანქა სხვა ბოსტნეულს, მერვედ გირვანქა ახალ ხილს. კვირაში აძლევენ 3,5 უნცია კარაქს (დაახლოებით 1,4 გირვანქა).

— ამბობენ, რომ ისეთი ბატარია, როგორც ზემოთ აღვწერეთ, ლონდონის ირგვლივ რამდენიმე ათეულია. რამდენიმე ასეული ამგვარი ბატარია დადგმულია ინგლისის სანაპიროზე. ამ ბატარიების გარდა, არის ბატარიები, რომელთაც უფრო დიდი ყალიბის—4,5 დუიმიანი ქვემეხები აქვთ და აგრეთვე მრავალი უფრო მსუბუქი 40-მილიმეტრიანი ქვემეხი „ბოფორსის" სისტემისა. ასეთი ბატარიების დადგმა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არა სწყვეტს გერმანიის ავიაციის ღამის საჰაერო თავდასხმისაგან ინგლისის დაცვის მთელს პრობლემას. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ინგლისის ხელისუფლებამ უკვე შექმნა საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელშიც შედის ჰაერგადამღობი აეროსტატები და გამანადგურებელი ავიაციაც. ინგლისის საჰაერო თავდაცვის დღევანდელი სქემა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ყველა იმ სქემებთან შედარებით, რომელსაც კი დღემდე შეხვდრია გერმანიის ავიაცია.

# ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის

სოციალისტურმა წესწყობილებამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, დიდსა და მცირეს მიანიჭა უფართოესი შესაძლებლობა აშენოს თავისი ნაციონალური კულტურა — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური. დიადი საბჭოთა ქვეყნის კულტურის აყვავების შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს მის ხალხთა ხელოვნება. ცარიზმის დროს ჩაგრული ხალხები გამხნევდნენ და ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად მიდიან თავისი საკუთარი კულტურის, თავისი ხელოვნების შემდგომი განვითარების გზით, ხელოვნების, რომელიც მახლობელი და გასაგებია ხალხისათვის. ეს ხელოვნება, რომელსაც მთელი თავისი ფესვები ხალხური შემოქმედების სიღრმეში აქვს გადგმული, გვაძლევს ოსტატობისა და ალმაფრენის საუცხოო ნიმუშებს. ფორმით ბრწყინვალე და ფერადოვანი ხელოვნება საბჭოთა ქვეყნის ხალხებისა მაყურებელს ხიბლავს თავისი სიახლით, თავისი არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით.

განა წინათ ყაზახ ან ყირგიზ ხალხს შეეძლო ოცნება საკუთარ თეატრზე, საკუთარ ოპერაზე?! მეფის კოლონიზატორები ცდილობდნენ ჩაეხშოთ იმ ხალხთა შემოქმედებითი ძალები, რომელნიც თვითმპყრობელური წყობილების უღელქვეშ იმყოფებოდნენ. ნაციონალური კულტურის ყოველი გამოვლინება საეჭვო იყო მეფის კოლონიზატორებისათვის და პოლიციურ სასჯელს იწვევდა. დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს ნაწარმოებებს მეფის ხელისუფლება კრამოლურს უწოდებდა. უკრაინის თეატრი ძლივს ბოგინობდა სუსტი „მალოროსიული" დასების სახით, რომლებსაც მეტად შეზღუდული რეპერტუარი ჰქონდათ. მცირე ხალხთა შემოქმედებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ისინი გადაშენებისათვის იყვნენ განწირულნი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, სოციალისტური წესწყობილების დამკვიდრებამ შექმნა პირობები, რომლის დროსაც საუცხოოდ და ბრწყინვალედ გაიფურჩქნა დიად საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის ნაციონალური ხელოვნება. ნაციონალური ხელოვნების დეკადები, რომლებიც მოსკოვში ჩატარდა, ყოველთვის გადაიქცეოდნენ ხოლმე დღესასწაულად, გამოხატავდნენ რა ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას. ისინი ასრულებდნენ და კვლავ ასრულებენ უდიდეს როლს ნაციონალური კულტურების მშენებლობის საქმეში, უზრუნველჰყოფენ მოძმე რესპუბლიკათა მხატვრული ინტელიგენციის შემოქმედებითს ზრდას. პირველი დეკადა — უკრაინული ხელოვნების დეკადა — ჩატარდა 1936 წლის გაზაფხულზე. მას შემდეგ, ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში, მოსკოვში ჩატარდა ყაზახური, ქართული, უზბეკური, აზერბაიჯანული, ყირგიზული, სომხური და ბელორუსული ხელოვნების დეკადები. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარებულ იქნა აგრეთვე ლენინის ქალაქის ხელოვნების ჩვენება.

ამ დეკადებმა მეტისმეტად დიდი გავლენა მოახდინეს მთელი საბჭოთა ხელოვნების განვითარებაზე. მოსკოვი, მისი შესანიშნავი თეატრებით, მისი საუცხოო თეატრალური ტრადიციებით სიხარულით იღებდა სტუმრებს, გადაუშლიდა ხოლმე მათ დედაქალაქის კულტურის საგანძურებს, მოკავშირე რესპუბლიკათა თეატრების მუშაკებს ეხმარებოდა მათს ზრდაში. მეორე მხრივ, მოსკოვი თავის რიგად ითვისებდა ფერადების სიახლეს და თემატიკის მრავალფეროვნებას, რაც თან მოჰქონდათ მოძმე რესპუბლიკათა თეატრებს. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ თვითეული დეკადის შემდეგ მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა თეატრების რეპერტუარში გამოჩნდებოდა ხოლმე ნაციონალური ხელოვნების ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოებები. დიდმა თეატრმა უკვე დასდგა ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" და დასადგმელად ამზადებს აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერა „ქორ-ოღლის". ფალიაშვილის ოპერა „დაისი" დადგმულია სარატოვში, კიევში და მზადდება დასადგმელად მოსკოვის ნემიროვიჩ - დანჩენკოს სახელობის თეატრში. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტი" შეტანილია ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრის რეპერტუარში. კროშნერის ბელორუსული ბალეტი „ბულბული" დადგმულია ოდესაში. უზეირ ჰაჯიბეკოვის მუსიკალური კომედია „არშინ მალ ალანი" ერთერთი ყველაზე საყვარელი ნაწარმოები გახდა უზბეკისტანშიც, რსფსრ-შიც, სხვა რესპუბლიკებშიც. საბჭოთა კავშირის მრავალი თეატრის რეპერტუარში შეტანილია უკრაინული მელოდიური და მხიარული ხალხური ოპერები „ნატალკა-პოლტავკა" და „ზაპოროჟეც ზა დუნაემ".

მოსკოვში ჩატარებულმა ნაციონალური ხელოვნების დეკადებმა ფართო პოპულარობა შეუქმნეს მოკავშირე რესპუბლიკათა თეატრების ბევრ გამოჩენილ მსახიობს. მათი შემოქმედებითი ძალები გაიზარდა, მათი ნიჭი განმტკიცდა რუსი ხალხის თეატრალურ კულტურასთან მჭიდრო შეხებით, კულტურასთან, რომელიც ყველაზე უფრო მკაფიოდ მოსკოვში — დიდი საბჭოთა კავშირის დედაქალაქშია წარმოდგენილი. ლიტვინენკო-ვოლგემუტი, კულიაშ ბაისეიტოვა, ხალიმა ნასიროვა, შევკეტ მამედოვა, ბიულ-ბიულ მამედოვი, აბდილას მალდიბაევი, აიკანუშ დანიელიანი, ლარისა ალექსანდროვსკაია, აკაკი ხორავა, ვასაძე მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილი გახდნენ. მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მათ მუშაობას, მიანიჭა რა მათ სსრ კავშირის სახალხო არტისტების საპატიო სახელწოდება.

ნაციონალური ხელოვნების დეკადები სსრ კავშირში საუცხოო ტრადიციად იქცნენ. ჩვენში ყოველი წელიწადი აღინიშნება ხოლმე მოძმე ხალხთა ხელოვნების შემოქმედებითი ჩვენებით. უახლოეს დროში მოსკოვში ჩატარებული იქნება ბურიატ - მონღოლური ხელოვნების დეკადა. ამ დეკადის მონაწილეები უკვე გაემგზავრნენ მოსკოვს. 1941 წელს შესდგება ლატვიური, ლიტვური, ესტონური, ტაჯიკური და თათრული ხელოვნების დეკადები. უკვე ამჟამად ფართოდ გაიშალა მზადება ამ დეკადებისათვის. მოსკოვის, ლენინგრადის და ჩვენი ქვეყნის სხვა მსხვილი თეატრალური ცენტრების ხელოვნების ოსტატები გამოსთქვამენ მხურვალე სურვილს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საბჭოთა ხელოვნების მშენებლობას მოძმე რესპუბლიკებში. ცნობილია, რომ ამ დახმარებამ ფრიად არსებითი როლი ითამაშა იმ დეკადების მომზადებაში, რომლებიც ესოდენ დიდი წარმატებით უკვე ჩატარდა მოსკოვში. ეჭვი არ არის, რომ მომავალ დეკადებშიც ეს დახმარება შესაძლებლობას მისცემს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების თეატრებს მიიღონ უფრო მეტი გამოცდილება, უფრო მეტი თეატრალური კულტურა.

მოსკოვი მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების წარმომადგენელთა ჩამოსვლის მოუთმენელ მოლოდინში იქნება. იგი მათ ჩვეულებრივი გულგამლილობით შეხვდება. მოსკოველი მაყურებელი სიხარულით ნახავს და მოისმენს მათი ხელოვნების ნიმუშებს, გამოსთქვამს თავის ღრმა ძმურ სოლიდარობას, თავის სიყვარულს საბჭოთა ხალხების ბრწყინვალე და მრავალფეროვანი შემოქმედებისადმი. ასე, მაღალი რუსული თეატრალური კულტურისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ხელოვნების მჭიდრო ურთიერთობის ბაზაზე იქმნება თავისი სოციალისტური შინაარსით მთლიანი და ნაციონალური ფორმით მრავალფეროვანი დიადი ხელოვნება დიადი საბჭოთა ქვეყნისა. ამ ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს მხურვალე, მგზნებარე სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, სიცხადე, სიმარტივე, ხალხურობა, იდეური მიზანსწრაფვა, კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა.

ხელოვნება იფურჩქნება მხოლოდ იქ, სადაც თავისუფალი ადამიანი თავისუფლად ჰქმნის თავის დედაენაზე, იქნება ეს პოეზიის ენა თუ მუსიკის ენა. კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის ერთვნებათა თანასწორობა.

კაპიტალისტურმა წესწყობილებამ პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი მცირე ხალხი, მთლიანად და სავსებით მოსპო მათი ნაციონალური კულტურა. რამდენი შესანიშნავი ნიჭი, თვითმყოფი ხალხური შემოქმედების რამდენი შესანიშნავი ნიმუში დაიღუპა ბურჟუაზიულ ფსევდო-ცივილიზატორთა დარტყმით!

საბჭოთა ქვეყანაში თვითეულ ხალხს სრული შესაძლებლობა აქვს შეჰქმნას თავისი კულტურა—ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური. ლენინ-სტალინის პარტია უდიდეს დახმარებას უწევს ნაციონალური კულტურების განვითარებას. ეს დახმარება ვალდებულს ხდის ხელოვნების ყველა მუშაკს, რომლებიც მოსკოვში დეკადებზე უჩვენებენ თავიანთ მიღწევებს, მუშაობდეს და ჰქმნიდეს თავისი ნიჭის სრული ძალით, იმ დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, რაც მათ აკისრიათ. თვითეულმა დეკადამ უნდა სთქვას ახალი სიტყვა და ამით გაამდიდროს საბჭოთა ქვეყნის ხელოვნება, შეიტანოს თავისი წვლილი მის დიად საგანძურში.

**„პრავდის" მოწინავე, 5/X.**

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი**, 5 ოქტომბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „მიუხედავად განსაკუთრებით არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, გუშინ ჩვენი ავიაციის ძლიერი შენაერთები წარმატებით უშენდნენ ყუმბარას სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებს ლონდონსა და ლონდონის მიდამოებში. სიტში და ტემზის ჩრდილოეთ ნაპირზე ბევრგან ხანძარი გაჩნდა. დაზიანებულია რკინიგზის ნაგებობებიც კოლეჯ-პარკის მახლობლად.

შემდგომი თავდასხმა მიმართული იყო სანავსადგურო ნაგებობათა, სამხედრო საწარმოთა, დიდ ნავთსაცავთა, რკინიგზის ობიექტებისა და აეროდრომების წინააღმდეგ სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში. ანგარებსა და თავშესაფრებში აფეთქება მოხდა და ბევრგან ხანძარი გაჩნდა. პენროზის აეროდრომზე, წმ. გიორგის სრუტესთან, დანგრეულ იქნა მიწისზედა ნაგებობანი და მოსპობილია რამდენიმე თვითმფრინავი.

სამხედრო-საზღვაო არტილერიამ უკან დაახევინა დუვრიდან გამოსულ ინგლისის გემთა ქარავანს.

4 ოქტომბერს, საღამოს და ღამით, ინგლისის თვითმფრინავები გერმანიაში არ შემოფრენილან. მიწაზე მოსპობილ თვითმფრინავთა გარდა, მტერმა ბრძოლაში დაჰკარგა 5 თვითმფრინავი. გერმანიის ხუთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი**, 5 ოქტომბერი. ოფიციალურად ქვეყნდება, რომ გუშინ ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა სამხედრო ობიექტებს მტრის მიერ ოკუპირებულ ჰოლანდიის სანაპიროზე.

გერმანიის თვითმფრინავებმა, რომლებიც ცალ-ცალკე მოქმედებდნენ უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ყუმბარა უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში.

გერმანიის ზოგიერთმა თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ტემზის შესართავის რაიონსა და აღმოსავლეთ ლონდონში.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაციამ ნორვეგიის სანაპიროზე ფრენის დროს ყუმბარა დააყარა ღუზაზე მდგომ რამდენიმე სატრანსპორტო გემს, რომელთა წყალწყვა ცალ-ცალკე 4-5 ათას ტონას უდრის. ერთერთ გემში დიდი ხანძარი გაჩნდა. ბიერნ-ფიორდის რაიონში ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დააყარა მტრის 2 ათასამდე ტონა წყალწყვის სატრანსპორტო გემს. ფიქრობენ, რომ ეს გემი ჩაძირულია.

**ლონდონი**, 5 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 4 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია თავს დაესხა 60 პუნქტს ლონდონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. მაგრამ, რადგან გერმანიის თვითმფრინავები ღრუბლების ზემოთ დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ, ბომბარდირებას წინა ღამეზე უფრო უწესრიგო ხასიათი ჰქონდა. უკანასკნელი ცნობებით, გუშინ მოსპობილ იქნა გერმანიის 3 ყუმბარმშენი. ინგლისის ავიაციამ ერთი ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

მეტად არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ინგლისის ყუმბარმშენ ავიაციას ხელი შეუშალეს, რომ 4 ოქტომბერს ღამით თავს დასხმოდა მტრის სამხედრო ობიექტებს. (საქდესი).

## ბირმინჰამის ბომბარდირება

**ბერლინი**, 4 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, მიუხედავად დაწყებული შემოდგომის ნისლისა, წუხელ გერმანიის ასზე მეტი თვითმფრინავი დაესხა თავს ინგლისს და 120.000 კილოგრამი ყუმბარა ჩამოჰყარა. ბომბარდირების მთავარი ობიექტი იყო ბირმინჰამი, რომელიც ინგლისის საჰაერო თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. დღეს დილით გერმანიის მზვერავი ავიაციის მფრინავებმა რამდენიმე სურათი გადაიღეს; ეს სურათები მოწმობენ, რომ ინგლისზე გერმანიის ავიაციის ღამის თავდასხმის დროს დაზიანებულია მრავალი აეროდრომი და საავიაციო ქარხნები.

# ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი*

## დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

(ბიოგრაფიული ცნობები).

მან შეადგინა და 1865 წელს გამოსცა სახალხო სკოლის პირველი ორი განყოფილებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელო „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი", რომელიც 1876 წლამდე გამოდიოდა და გამოიცა სულ 60.000 ეგზემპლარი. 1868 წელს მესამე და მეოთხე განყოფილებათათვის გამოსცა „ბუნების-კარი", რომელიც 1918 წლამდე გამოდიოდა და გამოიცა სულ 27-ჯერ 15.000 ტირაჟით („ბუნების-კარის" მეხუთე გამოცემა მოწონებულ იქნა რუსეთის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ „როგორც ქართული ენის მშვენიერი სახელმძღვანელო სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიული კლასებისათვის").

1876 წელს „ანბანის" მაგივრად გამოსცა „დედა-ენა", შედგენილი [illegible]

...ლი აქვს 13-მდე ორიგინალური მოთხრობა. ამას გარდა იაკობ გოგებაშვილს დაწერილი აქვს 10 მოთხრობა, რომლებიც ცალკე გამოცემების სახით იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს. მათ შორის აღსანიშნავია: „იავნანამ რა ჰქნა", „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი", 150 მეტი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში იზრდებოდა ჩვენი ყმაწვილკაცობა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და ცალკე მოთხრობებზე, ორმოცდაათმა ახალმა თაობამ ისწავლა მით სამშობლო ენა და აზროვნება. მისმა წიგნებმა შექმნეს მიუვალი სიმაგრე ეროვნული კულტურის დასაცავად მე-19 ს. მეორე ნახევარში. მათ შეინახეს ქართული ენის ფესვები მოთხრისა და გადაგვარებისაგან. მარტო „დედა-ენა" და „ბუნების-კარი" კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში.

ფიცხელი ყურადღებით ეკიდებოდა იაკობ გოგებაშვილი აგრეთვე რუსული ენის შესწავლას ქართულ სკოლებში. რუსულ ენას იგი სთვლიდა მეტად მდიდარ, კულტურულ და „ერთერთ საერთაშორისო ენად". ყოველი ქართველი ახალგაზრდისაგან მოითხოვდა მის საფუძვლიან შესწავლას, სამშობლო ენის ცოდნის საფუძველზე. მაგრამ ქართველ მოსწავლეთათვის რუსული ენის დაწყებითი კურსის სახელმძღვანელოები 70-იან წლებში ვერ აკმაყოფილებდნენ ამ საგნის სწავლების მოთხოვნილებებს.

ეს გარემოება იწვევდა ქართველთათვის რუსული ენის ახალი სახელმძღვანელოს შედგენის აუცილებლობას. იაკობ გოგებაშვილი ჩვეული სიმხნევით, გულმოდგინებით შეუდგა ამ საქმეს და მალე შეადგინა თავისი «Русское слово» ორ ნაწილად ქართული დაწყებითი სკოლებისათვის.

70-იან და 80-იან წლებში ფართოდ გაიშალა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პუბლიცისტური მოღვაწეობა. ის შეიქნა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ერთერ-



თი ხელმძღვანელთაგანი. ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნების, დედა-ენის უფლებისა და სახალხო სკოლისათვის ბრძოლა შეადგენდა მის მთავარ ამოცანას.

ამ ამოცანას ემსახურებოდა იგი მთელი ნახევარი საუკუნე, ამ საკითხებზე სწერდა იგი მრავალ სტატიას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

იაკობ გოგებაშვილი იზრდებოდა რუსეთის რეაქციული ბიუროკრატიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ის იყო ღირსეული თანამებრძოლი ილია ჭავჭავაძისა, მისებრ პრინციპული, პირდაპირი, მტკიცე, მართალი, დინჯი და წინდახედული. განსაკუთრებული სიმახვილით იბრძოდა იგი განათლების დარგში მოკალათებულ შავრაზმულ და რეაქციულ-კონსერვატიულ ჩინოვნიკობას.

პრინციპულ და პირდაპირ ბრძოლაში რეაქციის მოციქულებმა ვერ შესძლეს იაკობ გოგებაშვილის დამარცხება. მათ აირჩიეს სხვა გზა: ჯაშუშობა, დაბეზღება, ცილისწამება და პროვოკაცია. ისინი უგზავნიდნენ მეფის მოადგილეს, სინოდს და სხვა ორგანოებს ათასნაირი ინსინუაციით სავსე ფარულ წერილებს, რომლებშიც იაკობი გამოჰყავდათ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხების ორგანიზატორად და შეურიგებელ ათეისტად.

1874 წელს, როდესაც იაკობი თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა, ამ სასწავლებლის რევიზია მოახდინა ე. წ. უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურო- [illegible]

...მომადგენლები ამხნევებდნენ იაკობს და მართლაც სულ მალე იგი ჩვეულებრივი ენტუზიაზმით შეუდგა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ და ლიტერატურულ მუშაობას.

იაკობმა გადასწყვიტა აღარ დაბრუნებოდა სახელმწიფო სამსახურს. ცეცხლს მისცა აკადემიიდან მიღებული მოწმობა, სემინარიის დამთავრების ატესტატი, სამსახურის (შრომითი) სია და სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა გარეშე სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა არ შეიძლებოდა.

1876 წლიდან იაკობ გოგებაშვილი ნიკო ცხვედაძესთან ერთად შეუდგა „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ორგანიზაციას. ვახტანგ თულაშვილის საშუალებით მათ მოსკოვიდან მიიღეს წერაკითხვის საზოგადოებათა ტიპური წესდება, რომლის მიხედვითაც უნდა შეედგინათ ჩვენი საზოგადოების წესდებაც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. იაკობს წინასწარვე ჰქონდა განზრახული საზოგადოების თავმჯდომარედ ისეთი გავლენიანი პირი აერჩიათ, რომელსაც, როგორც ის ამბობს, „დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიც და მთავრობის წრეებშიაც". ასეთ პირად მიჩნეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, რომელიც „მხურვალე თანაგრძნობით მიეგება" ამ წინადადებას. დიმიტრი არაფრით იყო დაახლოვებული ი. მამაცაშვილის სალონთან და ამიტომ გოგებაშვილმა და ცხვედაძემ გადასწყვიტეს წესდების დამუშავება დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ეწარმოებინათ. შეხვედრას ანუ კრებას ამ ოჯახში აწყობდნენ კვირაში ერთხელ, შაბათობით. იაკობს ზამთარში კვლავ გაეხსნა პროცესი და კარგა ხანს ჩამოსცილდა დიმიტრის სალონს. წესდების დამუშავება დაასრულეს ნიკო ცხვედაძემ და დიმიტრი ყიფიანმა. იაკობის მოთხოვნით წესდებაში შეტანილ იქნა მუხლი, რომლის მიხედვითაც წერაკითხვის საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში სწავლება საერო ენაზე უნდა ყოფილიყო.

საზოგადოების დამფუძნებელ (წესდების ხელისმომწერ) პირთა შერჩევა იკისრეს ილია ჭავჭავაძემ, ბესარიონ ღოღობერიძემ და ვახტანგ თულაშვილმა (იაკობ გოგებაშვილს წესდებაზე ხელი არ მოუწერია, როგორც მესამე სტატიით სამსახურიდან მოხსნილ და, მაშასადამე, მთავრობისათვის პოლიტიკურად მიუღებელ პირს).

1878 წელს ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება წარუდგინეს მეფის-ნაცვალს კავკასიაში. პირველად ეჭვს იწვევდა იაკობის მოთხოვნით ჩამატებული მუხლის დამტკიცება მეფის ნაცვლის მიერ, მაგრამ მისი მოლიბერალო თანაშემწის დ. სტაროსელსკის დახმარებით წესდება დამტკიცებულ იქნა უცვლელად. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, მდივნად—იონა მეუნარგია. 1879 წლიდან საზოგადოება შეუდგა თავის ხანგრძლივ და მეტად ნაყოფიერ კულტურულ მუშაობას. იაკობ გოგებაშვილი სიკვდილის წინა წელს იგონებდა: „ახლად დაარსებულ საზოგადოებას ფართო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ნივთიერი სალსარი კი ძლიერ მცირედი ებადა. ამ დიდს ნაკლს წამალი დადო ილია ჭავჭავაძემ; სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მან წარმოსთქვა მეტად ძლიერი სიტყვა ახლად დაარსებული საზოგადოების დიდი მნიშვნელობის შესახებ და გადაადებინა მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი ფული. ამითი მან ფეხზე დააყენა საზოგადოება და გაუხსნა მას გზა ფართო მოქმედებისათვის" (ტ. II, 518).

80-იანი წლებიდან ი. გოგებაშვილმა უფრო გააჩაღა მუშაობა. როგორც პუბლიცისტი, ის სწერდა საბრძოლო ხასიათის სტატიებსა და წიგნებს საქართველოს მიწა-წყლის მოვლისა და გაფრთხილების, აგრარული კულტურის განვითარებისა და მეურნეობისათვის ახალი ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ, განსაკუთრებით ცხარედ კი იგი სწერდა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის საკითხებზე, აღვივებდა ჩვენს ხალხში მხურვალე პატრიოტიზმს, მოუწოდებდა მას პოლიტიკური თავისუფლებისაკენ და ამხედრებდა ჩვენს ახალგაზრდობას მეფის კრული „ბიუროკრატიული რეჟიმის" წინააღმდეგ, მხურვალედ იცავდა საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს და სწამდა მისი მომავალი. როგორც პედაგოგი, ი. გოგებაშვილი სწერდა სახალხო განათლების ყველა აქტუალურ საკითხებზე, განსაკუთრებული ენერგიით იცავდა ქართულ ენაზე სწავლებას სკოლებში, მოითხოვდა სკოლის ხალხურობას, სკოლისგარეშე განათლების გაძლიერებას, ღარიბი ბავშვებისათვის სახელმწიფო დახმარების დაწესებას, რუსული ენის სწავლების გაძლიერებას, სწავლების ახალი მეთოდების შემოღებას, მასწავლებელთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვ. როგორც საბავშვო მწერალი, ი. გოგებაშვილი ადგენდა მაღალი იდეური შინაარსისა და მხატვრული ღირსებების მქონე მოთხრობებს, სწერდა სტატიებს გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საკითხებზე, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და საბუნებისმეტყველო თემებზე.

იაკობ გოგებაშვილი ხელს უწყობდა აგრეთვე საბავშვო პერიოდული პრესის შექმნას საქართველოში. მისი უშუალო დახმარე-




ბით დაარსდა ჩვენში 1883 წელს პირველი საბავშვო ჟურნალი „ნობათი", რომლის 1-ლი ნომრის შესახებაც მან ვრცელი რეცენზია მოათავსა გაზ. „დროებაში" 1884 წ. №№ 7,12,13 და 14 (იხ. ტ. II, 168—192). დიდი სიხარულით შეხვდა იაკობი მეორე საყმაწვილო ჟურნალის გამოსვლასაც 1889 წელს. ეს იყო „ჯეჯილი", რომლის მოვლენასაც იაკობი „დიდი ნაკლის შევსებად" სთვლიდა. ამ ჟურნალის პირველ ნომრებსაც უძღვნა იაკობმა სათანადო რეცენზია („ივერია", № 262. იხ. ტ. II, 227). ამ რეცენზიებში იაკობ გოგებაშვილი კრიტიკულ შენიშვნებთან დაკავშირებით ნათლად არკვევს საბავშვო ლიტერატურის ამოცანებს, თემატიკას და მხატვრული თხრობის პრინციპებს.

იაკობს ძალიან ახლო კავშირი და მეგობრობა ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან, განსაკუთრებით კი აკაკი წერეთელთან. აკაკისა და იაკობის მიწერ-მოწერა ნათლად ადასტურებს მათ გულწრფელ მეგობრობას. იაკობი ხშირად მატერიალურ დახმარებასაც კი უწევდა აკაკის და ეგნატე ნინოშვილს.

იაკობ გოგებაშვილი დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე ღარიბ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. ბევრს მიაღებინა თავისი ხარჯით საშუალო და უმაღლესი განათლება, ბევრმა კი მისი შუამდგომლობით და თხოვნით მიიღო სტიპენდია. იაკობს ცოლშვილი არა ჰყოლია, მაგრამ მის ოჯახს ძმები და ძმისწულები ავსებდნენ. ძალიან კარგად ეპყრობოდა იგი ნათესავებს. მშობლიურად ზრუნავდა მათზე, ფულით ეხმარებოდა. მისი ძმისწულები ალექსანდრე და შალვა გოგებაშვილები დღესაც დიდი სიყვარულით იგონებენ თავისი ბიძის დიდ ამაგს და მამობრივ მზრუნველობას როგორც საკუთრივ მათზე, ისე სხვა ნათესავებზეც.

დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა გოგებაშვილი აგრეთვე სახალხო მასწავლებლებს. მისი რჩევით შემოიღო წერაკითხვის საზოგადოებამ მასწავლებელთა დაჯილდოების პრაქტიკა და საამისო ფონდის დასაარსებელ პირველ თანხად მანვე შეიტანა 150 მან.

1900 წელს მან წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა განსაკუთრებული უფლება „დედა-ენისა" და „ბუნების-კარის" გამოცემა-გავრცელებისა, ხოლო სიკვდილის წინ კი მთელი თავისი უძრავი და მოძრავი ქონება იმავე საზოგადოებას უანდერძა.

საგრძნობი თანხები დაუტოვა აგრეთვე სომეხთა და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებებს, ექ. გაბაშვილის სახელობის ქალთა სკოლას, „განათლების" საზოგადოების სკოლას, სოფ. ვარიანის სკოლას და ქართულ საბავშვო ბაღს. ანდერძითვე უბარებდა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისი წიგნების შემოსავლიდან შეექმნათ სახალხო განათლების ფონდი, რომლითაც, იაკობის სიტყვით, „უნდა გამოიზარდონ სახალხო სკოლაში კარგად კურსს დამთავრებული ნიჭიერი ყმაწვილები, გლეხების, მუშების ან სოფლის ღარიბი მასწავლებლების შვილები — განსაკუთრებით სპეციალურ და კერძოდ საპედაგოგიო სასწავლებლებში". იმავე შემოსავლიდან საზოგადოებას უნდა ეძლია ყოველწლიურად სათანადო დახმარება ჟურნალ „განათლებისათვის" და ასი მანეთი აკაკი წერეთლისათვის „დედა-ენაში" მოთავსებული მისი ლექსების ჰონორარის სახით. იაკობ გოგებაშვილს შეეძლო თავის შესახებ ეთქვა პესტალოცის სიტყვები: „ყველაფერი ხალხისათვის" და კიდეც სთქვა სიკვდილის დღეს: „ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს". მართლაც, მისი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება უკლებლივ ეკუთვნოდა ქართველ მშრომელ ხალხს და მის ახალგაზრდობას.

1910 წელს მან გამოსცა თავისი რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების 1-ლი ტომი.

ნახევარი საუკუნე იმუშავა იაკობ გოგებაშვილმა საქართველოს „საუკეთესო მერმისისათვის". სამაგალითო და გმირული იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სანიმუშო და მისაბაძი—მისი პირადი ცხოვრება. სამშობლოსა და მშობელი ხალხის მგზნებარე სიყვარულით ძგერდა მისი დიდი გული.

ჩვენი მომავალი თაობის მეცნიერული აღზრდისათვის ბრძოლაში დაიფერფლა მისი დიდი სიცოცხლე.

1912 წლის 12 აპრილს იაკობ გოგებაშვილი მძიმედ გახდა ავად. თბილისის საუკეთესო ექიმები მკურნალობდნენ მას. გარს ეხვეოდა მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოება, მისი ნათესავები, ხოლო ერთგული მოსამსახურე იაკობ გულუაშვილი წელგაუშლელად იდგა მის საწოლთან დღედაღამ. 31 მაისს კიდევ მეგობრულად და ხალისიანად, მაგრამ უკანასკნელად ესაუბრა იგი ნიკო ლომოურს. იმავე დღეს საღამოს იაკობი უცბად ძალიან ცუდად შეიქნა. ყველამ დაჰკარგა იმედი მისი გამობრუნებისა და 1 ივნისს დილის 6 საათზე სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ხალხს. ახალგაზრდობამ დაჰკარგა მამა და მასწავლებელი, ის, ვინც მას შეუდგინა სამარადისოდ ბრწყინვალე წიგნები—„დედა-ენა" და „ბუნების-კარი".

1912 წლის 2 ივნისის გაზეთებმა სამგლოვიარო ზარად აცნობეს სამშობლოს მისი სახელოვანი შვილის გარდაცვალება. ყველა განიცდიდა ამ მძიმე დანაკარგს.

„განათლების" რედაქციამ გამოსცა სპეციალური კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად", რომელშიაც მოთავსებულია 81 წერილი.

შესაფერისი დიდებითა და პატივისცემით დაასაფლავეს იაკობის ცხედარი დიდუბის პანთეონში 1912 წლის 10 ივნისს.

დიდხანს გლოვობდა მას მშობელი ხალხი და მისი აღზრდილი თაობა, მაგრამ ამ გლოვის ხმებშივე გაისმა ძია შიოს სიტყვები:

ბალღებო, თქვენი ჭირიმე,
იმედნო ჩვენი ლხენისა,
იმღერეთ, როდი მომკვდარა
მომცემი „დედა-ენისა".

ასეც არის. იაკობ გოგებაშვილი ისევე გამძლეა და უკვნობი, როგორც მისი ხალხი და მშობლიური მხარე.

**ზ. თავზიშვილი**

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი"-ს 5 ოქტომბრის № 232.

## სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

**მოსკოვი,** („კომუნისტის" კორ.). 3 ოქტომბერს საქართველოს პავილიონი ინახულა ბესარაბიელთა ჯგუფმა 49 მემინდვრის შემადგენლობით. ახალშენის საბჭოთა მეურნეობიდან და ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან პავილიონმა მიიღო მიმდინარე წლის მოსავლის ლიმონის უკანასკნელი ნატურალური ექსპონატები.

## კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

**მახარაძე,** ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 3 ოქტომბრისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია სულ 1.077.370 კილოგრამი ჩაი. აქედან 72 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის კრეფა გრძელდება.

**საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ყაჭეიშვილი**

## წლიური გეგმა შესრულებულია

**ლაითური,** 5 ოქტომბერი (ტელეგრაფით). მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.670.000 კილოგრამის ნაცვლად 4 ოქტომბრამდე მოჰკრიფა 1.671.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. კრეფა გრძელდება.

**ლაითურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ე. გობრონიძე**

# ახალი, აყვავებული კოლხიდისათვის

## დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები, რომლებმაც კოლხიდის ჭაობის დაშრობაზე მომუშავე კოლმეურნეთა შორის სოცშეჯიბრება წამოიწყეს, ენერგიულად იბრძვიან, რათა ვადამდე და ხარისხოვნად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება—96.000 კუბური მეტრი მიწის ამოღებისა და 250.000 მანეთის სამუშაოს ათვისების შესახებ.

ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მებრძოლი" თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებს ახალი კოლხიდისათვის ბრძოლაში კოლმეურნეთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს, მათ გამოცდილებას, მიღწევებსა და ნაკლოვანებებს. რაიონის მიერ აღებული გეგმა დაყვანილია თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე, ცალკე კოლმეურნემდე და სისტემატური კონტროლი ეწევა მის შესრულებას.

კოლმეურნეები ყველგან დიდი ენტუზიაზმით მუშაობენ. შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ 3.500 კუბური მეტრის ნაცვლად 4.540 კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულა, სოფ. განმუხურის კოლმეურნეობა „შრომიდან" ს. კაკულიას ბრიგადამ გეგმის ზევით 80 კუბური მეტრი მიწა ამოიღო. საერთოდ კი ამ კოლმეურნეობამ ნაკისრი ვალდებულება—3.500 კუბური მეტრი მიწის ამოღების შესახებ—2 ოქტომბრისათვის შეასრულა.

ჭითაწყარის კოლმეურნეობების „ლენინის გზითის" და „მებრძოლის" წევრებმა მუშაობის დაჩქარების მიზნით თავიანთი ინიციატივით უზრუნველჰყვეს ამოღებული მიწის გადაზიდვა პრიმიტიულად მოწყობილი ვაგონეტებით.

## წალენჯიხელთა გამარჯვება

1.100 წალენჯიხელი კოლმეურნე ერთი სულისკვეთებით მოვიდა კოლხიდმშენის ნაბადას უბნის ზღვისპირა სამუშაოებზე, რათა აქ შეესრულებიათ 100 ათასი მანეთის სამუშაო, ამოეძირკათ 104,6 ჰექტარი ფართობი.

წალენჯიხის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამოქალაქო ორგანოებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა ფართო მასების ინიციატივას, საუკეთესო წარმატებები მოიპოვეს. გათვალისწინებული 100.000 მანეთის ნაცვლად მათ ვადაზე და მაღალხარისხოვნად შეასრულეს 107.700 მანეთის სამუშაო.

კერძოდ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამოძირკეს 5,1 ჰექტარი ფართობი და შეასრულეს 5.350 მანეთის სამუშაო. კარგი მუშაობის ასეთივე მაგალითები გვიჩვენეს ბუდიონის სახელობის, სოფ. ლიის კიროვის და კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობებმა.



აქ, ფოთის მიდამოებში, წინათ გაუვალი ჭაობი იყო. ახლა კი ევკალიპტი და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეებია გაშენებული.
ფოტო ა. ჭითანავასი.

## ახალი ჯებირის მშენებლობაზე

გასულ წლებში მდ. ხობის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე კილომეტრი ჯებირი გაკეთდა. აღნიშნული ჯებირის მშენებლობის დამთავრება ხობის რაიონის კოლმეურნეებმა იკისრეს. ამ მიზნით 25 სექტემბერს სამუშაო ადგილზე ორგანიზებულად გამოცხადდა ხობის რაიონის 49 კოლმეურნეობის 1.200 კოლმეურნე. გეგმა ითვალისწინებს 3,5 კილომეტრზე ჯებირის გაკეთებას 55.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაოს შესრულებას, რაც 150.000 მანეთის ღირებულებას შეადგენს.

კოლმეურნეები წინასწარ გაეცნენ სამუშაოს სპეციფიურ პირობებს, მოიმარაგეს იარაღები და სხვა საჭირო მოწყობილობა. კოლმეურნეობებში თითო ურემზე გაპიროვნებულია ორი კაცი, რაც ერთის მხრივ ზრდის პასუხისმგებლობას კოლმეურნეთა მუშა-პირუტყვის მოვლა-პატრონობისადმი და მეორე მხრივ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

კოლმეურნეებმა ფართოდ გამოიყენეს შრომითი მონაწილეობის დროს სხვა სამუშაო ობიექტებზე მიღებული გამოცდილება, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი საქმეს. სოფ. ქვემო-ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (სამუშაოთა ხელმძღვანელი გ. პაპავა) მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ამოიღო 2.340 კუბური მეტრი მიწა და შეასრულა 6.000 მანეთად ღირებული სამუშაო. სოფ. ძველი-ხიბულის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მოკლე დროში 3.000 მანეთის ნაცვლად შეასრულეს 3.100 მანეთად ღირებული სამუშაო.

ამ მოწინავე კოლმეურნეობებმა რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებით ჯებირის მშენებლობაზე 30-40 პროცენტით გაადიდეს დღიური შრომის ნაყოფიერება. ქვალონელი და ხობელი კოლმეურნეები ჯებირის მშენებლობის დროს მიწას ყოველთვის სიმაღლეზე ჰყრიან, რაც დიდად აჩქარებს მუშაობას. უკანასკნელად ეს გამოცდილება სხვა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმაც გადაიტანეს.

ერთსულოვნად მუშაობენ აგრეთვე სოფ. თორსა-ღვაბის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის, ძველი ხიბულის კოლმეურნეობა „სოციალიზმის", პირველი — ხორგის კოლმეურნეობა „წინსვლის" და სოფ. ახალი ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეს" წევრები.

1 ოქტომბრისათვის რაიონს მთელი სამუშაოს 40 პროცენტი უკვე შესრულებული ჰქონდა.

უნდა აღინიშნოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებს ხობელ კოლმეურნეთა ხელმძღვანელებს. მივიწყებულია სააგიტაციო მუშაობა, სუსტია საექიმო მომსახურება — სამუშაო ობიექტზე არ არის მოწყობილი საექიმო პუნქტი. კოლმეურნე ფერგანელებს სუსტ მომსახურებას უწევენ სავაჭრო ორგანიზაციები. კოლმეურნეები არ არიან უზრუნველყოფილი პირველმოთხოვნილების საგნებით. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება გადაუდებელი საქმეა.

**აბ. ნანეიშვილი**
გაზ. „ახალი კოლხიდისათვის" რედაქტორი.

## კომუნიკე სსრ კავშირსა და გერმანიას შორის სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე

ა. წ. 1 ოქტომბერს ქ. ბერლინში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება. შეთანხმება ითვალისწინებს პირდაპირს სამგზავრო მიმოსვლას და სატვირთო მიმოზიდვას სსრ კავშირსა და გერმანიას შორის.

მოლაპარაკებამ კეთილსასურველ ატმოსფეროში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისრის დავალებით ხელი მოაწერა ამხ. ე. ი. ნიზოვცევმა, გერმანიის მხრივ—გერმანიის რკინიგზათა სამმართველოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა შოლცმა.

## რწმუნებულობის სიგელის ჩაბარება სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ თურქეთში

**ანკარა,** 4 ოქტომბერი (საკდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ „გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ისმეთ ინენიუმ მიიღო სსრ კავშირის ახალი ელჩი ანკარაში ვინოგრადოვი, რომელმაც თავისი რწმუნებულობის სიგელი ჩააბარა. ამას დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ. ცერემონიის დროს გამოყვანილ იქნა საპატიო ყარაული".

## ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის ოკეანიაში მდებარე კუნძულების შესახებ

**ნიუ-იორკი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ფრეზერმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ოკეანიაში მდებარე კუნძულები დე გოლის მომხრეთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ახალი ზელანდია, — სთქვა ფრეზერმა, — ცდილობს კონტაქტი დაამყაროს ამ კუნძულების ხელისუფლების წარმომადგენლებთან (საფრანგეთის კუნძულებს წყნარ ოკეანეში ეკუთვნიან მარკიზის კუნძულები, ტუამოტუს კუნძულები, პირქარის კუნძულები და სხვ.).

## შვედური გაზეთი ინგლისში შესევისათვის მზადების შესახებ

**სტოკჰოლმი,** 5 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთმა „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდამ" დაბეჭდა თავისი ლონდონელი კორესპონდენტის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ჰოლანდიიდან იუწყებიან, რომ კონტინენტის გემსაშენებში აგებენ დიდ ბორნებს ინგლისში შესევისათვის. დღემდე ფიქრობდნენ, რომ ამ ბორნებს სატრანსპორტო გემებად გამოიყენებდნენ. მეთვალყურენი კი აღნიშნავენ, რომ ჰოლანდიის გემსაშენებში გერმანელები დიდი რკინის კოჭებით აერთებენ ექვს ბორანს ერთად (ორ წყებად, წყებაში სამ-სამი ბორნის რაოდენობით) და მათ ჯავშნის ფილის საერთო გემბანით ხურავენ. როგორც სჩანს, მზადდება უმაგალითო ზომის პონტონის ხიდის აგება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტანკებისა და მოტორიზებული ნაწილების სწრაფი გადაყვანა. ცნობილია, რომ 3 ათასამდე ასეთი ბორანი თავმოყრილია ლა-მანშის სანაპიროს ნავსადგურებში. თვითეულის სიგანე დაახლოებით 15 მეტრია. ყველა ისინი რომ რიგზე დადგეს ადვილად შეიძლება გაკეთდეს თავისებური ჯაჭვი, რაც გაჭიმული იქნება მთელს არხზე, რომლის სიგანეც ყველაზე ვიწრო ადგილას 30 კილომეტრს უდრის".

## ჩინეთის ლონდონელი ელჩის ლაპარაკობა ჩერჩილთან

**ლონდონი,** 5 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩერჩილმა მიიწვია ჩინეთის ლონდონელი ელჩი გო ტაი-ცი ბირმა-ჩინეთის გზის გახსნის საკითხის ყოველმხრივად განხილვისათვის. უახლოეს ხანში მოელიან ცნობას ინგლისის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

## საომარი მოქმედება ჩინეთში

**ჩრდილოეთ ჩინეთში** შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა სწარმოებს ჯუგ-ტიაოშანისა და ტაიხანშანის მთაგრეხილების გასწვრივ. იაპონელები უკვე მეორე წელიწადია უშედეგოდ ცდილობენ ხელთ იგდონ ეს მთაგრეხილები, რაც მათ საშუალებას მისცემდა გადაელახათ მდინარე ხუანხე და შეტევა დაეწყოთ სამხრეთისაკენ.

**სამხრეთ ჩინეთში** გუანსის პროვინციაში იაპონელები თავდაცვაზე გადავიდნენ. იაპონიის ჯარის მე-5 დივიზია, რომელიც ამ პროვინციაში მოქმედებდა, საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ნაპირებისაკენ გაგზავნეს ზღვით. მის ადგილას ხუნანის პროვინციიდან იაპონიის მე-110 დივიზია მივიდა.

## კომუნიკე ჰიტლერისა და მუსოლინის მოლაპარაკების შესახებ

**ბერლინი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბრენერიდან გადმოგვცემს კომუნიკეს ჰიტლერისა და მუსოლინის მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია: „გერმანიასა და იტალიას შორის აზრთა რეგულარული გაცვლა-გამოცვლის წესით დღეს ბრენერში ერთმანეთს შეხვდნენ ჰიტლერი და მუსოლინი. საუბარი, რომელმაც სამ საათს გასტანა, ღერძის სახელმწიფოთათვის დამახასიათებელი გულითადობით მიმდინარეობდა ორივე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თანდასწრებით. საუბრის დროს განხილულ იქნა ის საკითხები, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს. მოლაპარაკების ბოლო ნაწილს დაესწრო გენერალ-ფელდმარშალი კეიტელი. მოლაპარაკება გაგრძელდა საუზმის დროს ვიწრო წრეში".

**ბერლინი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბრენერიდან გადმოგვცემს, რომ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჰიტლერმა 14 საათსა და 30 წუთზე დასტოვა ბრენერი.

## ჰალიფაქსი ლორდთა პალატის ლიდერია

**ლონდონი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლორდთა პალატის ლიდერი, ნაცვლად კოლდეკოტისა, ახლა ჰალიფაქსი იქნება. ამ მოვალეობის შესრულებაში ჰალიფაქსს ლეიბორისტი სნელი დაეხმარება.

## ლონდონელი მუსიკოსების მოთხოვნა

**ლონდონი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). სანახაობის დაწესებულებათა დახურვამ ლონდონში ხელოვნების მუშაკთა უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. უკანასკნელ ხანებში უმუშევარ მუსიკოსთა რიცხვი აქ 13 ათასიდან 30 ათას კაცამდე გაიზარდა.

მუსიკოსთა პროფკავშირის ლონდონის კომიტეტმა წინადადებით მიჰმართა შრომისა და ნაციონალური ბეგარის სამინისტროს, რათა მუსიკოსებისათვის სამუშაოს მიცემის მიზნით სანახაობანი მოეწყოს ყუმბართსაცავებში და აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მოსახლეობა იყრის თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული თავდაცვის სამმართველოს სხდომა

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ ბოსტონიდან გადმოცემული ცნობით, იქ 2 ოქტომბერს შესდგა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული თავდაცვის სამმართველოს სხდომა. განხილულ იქნა საკითხი კანადის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების დაცვის შესახებ. კანადის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ბიგარმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, შორეულ აღმოსავლეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები კანადის დასავლეთ სანაპიროების დაცვის გაძლიერებას მოითხოვენო. კანადა, — განაცხადა შემდეგ ბიგარმა,—იგი რამდენადაც შესაძლებელია ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობს, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო პირდაპირი თავდასხმა; თუმცა ამავე დროს მთელს თავის ყურადღებას საზღვარგარეთ გასაგზავნი ჯარის, გემებისა და სამხედრო საჭურვლის მომზადებას აქცევს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სხდომაზე განხილულ იქნა უმთავრესად საკითხი ჰალიფაქს (ახალი შოტლანდიის პროვინცია) — ბოსტონის თავდაცვითი ხაზის შექმნის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ამ სამმართველოში ლა გარდიამ განაცხადა, რომ „ბოსტონ-ჰალიფაქსის თავდაცვითი ხაზი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანადის თანამშრომლობას. იგი შესაძლებლობას გვაძლევს უკუვაქციოთ მტრის შემოსევა ზღვით ხმელეთიდან 800 კილომეტრისა და უფრო მეტ მანძილზე. ამგვარად ამ სანაპიროების ქალაქების დაცვა მოწყობილი იქნება შორს ზღვაში და არა თვით ამ ქალაქებში. იგივე მეთოდი იქნება გამოყენებული დასავლეთ სანაპიროების დაცვისათვისაც“.

## ინგლისისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის საკითხის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს არის ნიშნები, რომელნიც მოწმობენ, რომ ამჟამად რუზველტს განზრახვა არა აქვს ეცადოს გააუქმოს ნეიტრალიტეტის კანონის ის მუხლები და ჯონსონის კანონი, რომლებითაც აკრძალულია ინგლისისათვის კრედიტის მიცემა. მაგრამ ზოგიერთი მეტად გავლენიანი წრე, როგორც კონგრესში, აგრეთვე კონგრესს გარეთ მოითხოვს რაც შეიძლება მალე იქნას მიღებული ეს გადაწყვეტილება.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ სიტყვით, საკვირველი არაფერია, რომ რუზველტი, პრეზიდენტთა არჩევნების მოახლოების გამო, ცდილობს თავიდან აიცილოს დისკუსია კონგრესში ინგლისისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის საკითხზე. მაგრამ სავსებით აშკარაა, რომ შეერთებულ შტატებს სულ ახლო ხანში მოუხდებათ ამ საკითხის გადაჭრა. გაზეთი მოითხოვს, რომ კონგრესმა მოიწონოს სენატორ კინგის წინადადება, რომლითაც გათვალისწინებულია ინგლისისათვის კრედიტის მიცემის უფლება.

გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამში“ გამოქვეყნებულია სტატია, სადაც სკრიპს-ჰოვარდის საგაზეთო ტრესტის უცხოეთის განყოფილების რედაქტორი სიმსი აცხადებს, სულ ახლო ხანში შესაძლებელია ინგლისმა ამოსწუროს მთელი თავისი ფონდები და იძულებული გახდეს შესწყვიტოს შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ ამერიკის კრედიტს ვერ მიიღებსო. არსებული ცნობების მიხედვით, ომის დასაწყისში ინგლისის ის ოქროს მარაგი და ფასიანი ქაღალდები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც შეიძლება გადაქცეულ იქნას ამერიკის ვალუტად, 3-5 მილიარდ დოლარით განისაზღვრებოდა. ინგლისს ახლავე ამოწურული აქვს ამ რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი. ომის ხარჯების შედეგად, ინგლისის ხაზინის დეფიციტმა 1940-1941 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში 4.600 მილიონი დოლარი შეადგინა. თუ ამერიკის კონგრესი არ დართავს ნებას ინგლისისათვის კრედიტის მიცემაზე,—სწერს დასასრულ სიმსი,—ამერიკის თვითმფრინავებისა და სხვა სამხედრო მასალის დენა ინგლისში შეიძლება შესწყდეს.

## ახალი ასიგნობანი სამხედრო საჭიროებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იტყობინება, რომ ამერიკის კონგრესმა საბოლოოდ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სამხედრო საჭიროებისათვის ითვალისწინებს დამატებითს ასიგნობებს 1.482 მილიონი დოლარის რაოდენობით.

## საომარი მზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა გამოაცხადა, რომ ფორტ-ბენინგში (გეორგიას შტატი) იქმნება პარაშუტისტთა პირველი ბატალიონი 500 კაცის შემადგენლობით. ამასთანავე სტიმსონმა განაცხადა, რომ სამხედრო სამინისტრომ „დუგლას ეირკრაფტის“ საავიაციო კომპანიას დაუკვეთა 141 მილიონი დოლარის თვითმფრინავები.

გასულ კვირას სტიმსონმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სამხედრო სამინისტრომ 13 ათასზე მეტი თვითმფრინავის დაკვეთა გაანაწილა.

## ირლანდიის პროფკავშირთა მოღვაწეების გასამართლება

**ლონდონი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის ორ ხელმძღვანელ პროფკავშირულ მოღვაწეს ვილიამ მაკულოუსა და ბეტი სინკლერს, „სახელმწიფოს დაცვის კანონის“ შესაბამისად სამართალში აძლევენ ოლსტერში. მათ ბრალად ედებათ ის, რომ ადგილობრივ გაზეთში მათ მიერ მოთავსებულ წერილს შეუძლია მთავრობისადმი უკმაყოფილება გამოიწვიოს მოსახლეობაში. გასამართლება 7 ოქტომბერს მოხდება. მაკულოუმ ჩამოაყალიბა კომპარტია ბელფასტში; იგი ირლანდიის რკინიგზელთა ნაციონალური კავშირის ბელფასტის პირველი განყოფილების მდივანია. ბეტი სინკლერი ფეიქართა პროფკავშირის ალმასკომისა და ბელფასტის პროფსაბჭოს ალმასკომის წევრია.

## შვეციის პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი

**ბერლინი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, მალმში ჩამოყრილი ყუმბარები ინგლისური წარმოშობისა აღმოჩნდნენ. შვეციის ლონდონელ დესპანს დავალებული აქვს მკაცრი პროტესტი განუცხადოს ინგლისის მთავრობას, აგრეთვე მოითხოვოს, რათა მიღებული იქნას ქმედითი ღონისძიებანი მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და ანაზღაურებულ იქნას ბომბარდირებით გამოწვეული ზარალი.

## უნგრეთის პარლამენტში

**ბუდაპეშტი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). თითქმის ხუთი თვის შესვენების შემდეგ განახლდა უნგრეთის პარლამენტის სხდომები. 2 ოქტომბერს პარლამენტმა უკამათოდ დაამტკიცა კანონპროექტი უნგრეთისათვის ჩრდილოეთ ტრანსილვანიის შემოერთების შესახებ.

პრემიერის წინადადებით მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთერთი მუხლი ეხება იმას, რომ შემოერთებული რაიონებიდან დეპუტატთა პალატაში დანიშნულ იქნას 63 დეპუტატი და ზედა პალატაში 12 წევრი. მიღებულია მეორე კანონი ზედა პალატაში 40-ზე მეტი სასულიერო პირის დამატებით დანიშვნის შესახებ.

## საფრანგეთის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებული ელჩის განცხადება

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, საფრანგეთის ვაშინგტონელმა ელჩმა ანრი ეიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თხოვნით მიჰმართა საფრანგეთის მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა მიჰყიდოს მას ამერიკის 90 სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც ამჟამად მარტინიკის კუნძულზეა.

## ბაჟი საქონლის ყიდვაზე ინგლისში

**ლონდონი**, 4 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ 21 ოქტომბრიდან ინგლისში შემოიღებენ ბაჟს საქონლის ყიდვაზე. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება ამ ბაჟის გამოყენების წესის შესახებ. დადგენილება განსახილველად წარედგინება პარლამენტს. ბაჟს აიღებენ ცალობით მოვაჭრეებისათვის საქონლის მიყიდვისას. ბაჟი დაედება ფართო მოხმარების საგნებს, მათ შორის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საოჯახო ნივთებს და სხვა.

უფრო დიდი ბაჟია გათვალისწინებული ფუფუნების საგნებზე. ახალი ბაჟის მიზანია შეზღუდოს მოხმარება თვით ინგლისში.

## მოკლე ცნობები

⊙ კონფისკაცია უყვეს ფრანგი ჟურნალისტების ტაბუის, ბიურეს და კერილისის ქონებას. ეს ჟურნალისტები საფრანგეთიდან წავიდნენ და მათ ჩამორთმეული აქვთ საფრანგეთის მოქალაქეობა.

⊙ იაპონიაში ფუფუნების საგნების წარმოებისა და გაყიდვის აკრძალვამ უდიდესი ზარალი მიაყენა მრეწველებსა და ვაჭრებს. საფეიქრო ნაწარმისა და აბრეშუმის იმ მარაგის ღირებულება, რომლის გაყიდვაც არ შეიძლება, 400 მილიონ იენს აღწევს.

⊙ ბეირუთში (სირია) ვაჭრები მეფუნთუშეებს ფქვილს არ აძლევენ, რადგან არ ეთანხმებიან ხელისუფალთა მიერ დაწესებულ ფასს. საფუნთუშეების წინ ვეებერთელა რიგებია პურზე.

⊙ ჰონკონგში გაძლიერდა ხოლერის ეპიდემია. რეგისტრირებულია სიკვდილის 95 შემთხვევა. გამოირკვა, რომ დაახლოებით 600 პატარა ჭას მოდებული აქვს ხოლერის ბაცილა.



„ქართველი ქალის ცეკვა“ — ნახატი მოსე თოიძის

პროფ. მოსე თოიძის ამ ნახატის ფოტორეპროდუქცია ამასწინათ გამოაქვეყნა კიევის „ლიტერატურნაია გაზეტამ“. აძლევდა რა მაღალ შეფასებას ამ სურათს, გაზეთი სწერდა:

„მ. თოიძის დიდი ნახატი „ქართველი ქალის ცეკვა“ ყურადღებას იპყრობს მხატვრის წერის ტემპერამენტით. ნახატის ყველა პლანები წინა პლანიდან დაწყებული ღრმამდე იშვიათის რელიეფურობითა და სიმკვეთრით არის დაწერილი, რაც სხვათა შორის, არამც თუ არ არღვევს ჰაეროვან პერსპექტივას, არამედ, პირიქით, ჰაერს აძლევს რაღაც განსაკუთრებულ კრისტალურ მქვირვალებას. საინტერესოა, რომ მ. თოიძე ნახატში აღწევს ეგრეთწოდებულ სინათლის ეფექტს“.

## ოპერაციები თვალის სნეულებათა ინსტიტუტში

საქართველოს ჯანსახკომის თვალის სნეულებათა ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში ერთერთ მოწინავე და თვალის ოპერაციებისათვის კარგად მოწყობილ სამკურნალო-სამეცნიერო დაწესებულებად ითვლება. აქ ახდენენ ცდებს ბრმებისათვის თვალის რქოვანა გარსის გადანერგვაზე, ახდენენ სხვადასხვა რთულ ოპერაციებს თვალზე, სარგებლობენ თვალის სნეულებათა მკურნალობის უახლესი საშუალებებით.

ამას წინათ აქ ჩამოიყვანეს 13 წლის ბავშვი, გვარად ძესხი, რომელსაც მარცხენა თვალი გაფუჭებული ჰქონდა ხელთოფის 12 სანტიმეტრიანი ლულით. უბედური შემთხვევისას ხელთოფას ლულას თვალი გაეხვრიტა და კისრამდე გასულიყო, მაგრამ გარედან არავითარი ამის ნიშანი არ იყო. ბავშვი საშინელ ტანჯვაში იყო; მას გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც წარმატებით დამთავრდა.

აქვე მოახდინეს ბრმებისთვის რქოვანა გარსის გადანერგვა. ალექსანდრე ნიკოს-ძე თასოშვილი დაბრმავებული იყო ყვავილით ბავშვობიდანვე. იგი დააწვინეს ინსტიტუტის კლინიკაში და საოპერაციოდ მოამზადეს. ოპერაციის შემდეგ თასოშვილი გაეწერა გაუმჯობესებული მხედველობით. ასეთივე ცდა მოახდინეს კლიმენტი შპისტერზე. იგიც ბავშვობიდანვე იყო დაბრმავებული. ორივე ეს ოპერაცია მოახდინა აკად. ფილატოვის მოწაფემ ექ. ტ. რამიშვილმა.

ბრმისათვის რქოვანა გარსის გადანერგვის ცდას ამჟამად რკინიგზის საავადმყოფოში ამზადებს აკად. ფილატოვის მოწაფე დოც. ი. სიხარულიძე.

**დ. ლომთაძე**

## თავდაცვა-ავიაქიმის XIV ლატარიის ტირაჟი

1940 წლის 26--28 ოქტომბერს ქალაქ ალმა-ატაში შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის XIV ლატარიის ბილეთების მოგებათა ტირაჟი.

გათამაშებულ იქნება 25.001.225 მანეთის 410.500 მოგება. დიდ მოგებათა შორის არის — 4 მსუბუქი ავტომობილი „ზის—101“, 18 მსუბუქი ავტომობილი „მ—1“, 75 მოტოციკლი, 49 პიანინო, 59 მგზავრობა სსრ კავშირში, 132 ორლულიანი თოფი, 165 ფოტოაპარატი „ფედისა“, 372 ველოსიპედი, 342 პატეფონი ფირფიტებითურთ, 56 რადიომიმღები, 125 ჯიბის საათი, 90 ხელის საკერავი მანქანა და სხვ. (საკდესი).

### მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

## ორი გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

ქ. მარქსის სახელობის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა შეუდგა მზადებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისთვის ორი გამოფენის მოსაწყობად.

პირველი დიდი გამოფენა გაფორმებული იქნება თემაზე — „საქართველოს მიღწევები კულტურისა და ეკონომიკის ფრონტზე“. აქ წარმოდგენილი იქნება საქართველოს კულტურულ-ეკონომიური განვითარების მთელი ისტორია 1921 წლიდან 1941 წლამდე. გამოფენილი იქნება სხვადასხვა სამეცნიერო ნარკვევები, შრომები და მასალები, სურათები და დიაგრამები, რომლებიც მნახველს მისცემენ სრულ წარმოდგენას იმ გრანდიოზულ სამუშაოებზე, რაც შესრულდა საქართველოში განვლილი ოცი წლის მანძილზე.

მეორე გამოფენა მიეძღვნება თვით საჯარო ბიბლიოთეკის არსებობის X წლისთავს. ეს ბიბლიოთეკა დაარსდა 1931 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების X წლისთავზე. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დიაგრამები და სხვა საილუსტრაციო მასალები ბიბლიოთეკის მუშაობის დასახასიათებლად (წიგნების ფონდების ზრდა, კავშირურთიერთობა მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკებთან, ბიბლიოთეკის როლი პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა რეალიზაციის საქმეში და სხვ.).

### „სტალინი ქართულ პოეზიაში“

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავზე გამოსაცემად ამზადებს დიდ ბიბლიოგრაფიულ ნარკვევს — „სტალინი ქართულ პოეზიაში“. ბიბლიოგრაფიული ნარკვევის შედგენაში მონაწილეობას იღებენ ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლები მ. იორდანიშვილი, მ. მელაძე, ლ. ეგორაშვილი და კ. ბახტაძე. რედაქცია დავალებული აქვს ორდენოსან პოეტს ი. აბაშიძეს.

## ნ ა რ ე ვ ი

### საინტერესო აღმოჩენა არქტიკაში

ფადდეევის კუნძულზე (ახალციმბირის კუნძულების ჯგუფი ლაპტევების ზღვაში) გეოგრაფიული გემის „ნორდის“ ჰიდროგრაფმა იპოვნა უძველესი განძი. ნაპოვნია 1350 წვრილი ვერცხლის რუსული ფული, რომლებზედაც აღნიშნულია სახელები — ვასილ, დიმიტრი, იოანე, სპილენძის საოჯახო ნივთები, რელიგიური კულტის საგნები, სამკაულების ნაშთები — მძივები, საყურეები.

მოსკოვში მიღებული მოკლე ცნობების მიხედვით ფიქრობენ, რომ ნაპოვნი ფული ეკუთვნის XVI საუკ. და XVII საუკუნის დასაწყისს.

აქამდე ფიქრობდნენ, რომ ახალციმბირის არქიპელაგი აღმოჩენილი იყო 1711 წელს, ფადდეევის კუნძული კი — მხოლოდ 1805 წელს. თუ დადასტურდიბა, რომ ნაპოვნი საგნები მართლა XVI-XVII საუკუნეებს ეკუთვნის, ეს ამის მაჩვენებელი იქნება, რომ ახალციმბირის კუნძულები გაცილებით უფრო ადრე იყო ცნობილი რუსი მოგზაურებისათვის, ვიდრე ეს კუნძულები ოფიციალურად ცნობილი გახდებოდნენ.

(„პრავდიდან“)

### შემთხვევა ჰაერში

ამასწინათ, როგორც „საბჭოთა უკრაინა“ იუწყება, იშვიათ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სადგურ მირგოროდთან. მაღლა ცაში სამხრეთისაკენ მიფრინავდა გარეული ბატების ქარავანი. უეცრად მის გზაზე გამოჩნდა თვითმფრინავი. იგი დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა ბატებს. მფრინავი შეეცადა ბატებისათვის გვერდის ავლას, მაგრამ ისინი თვითონ გაეშურნენ თვითმფრინავისაკენ. ძყისვე დაჩეხილი ბატების ნაგლეჯები ჩამოცვივდა მახლობელ მინდორზე, თვითმფრინავი კი გაჰქრა ცის კამარაში. ბატები, რომლებიც ცოცხალი გადაურჩნენ ამ შემთხვევას, კვლავ სწრაფად ჩამწკრივდნენ და განაგრძეს გზა სამხრეთისაკენ.

(„იზვესტია“)

## ლ ე ქ ც ი ე ბ ი

8 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პრ. № 21) შესდგება პროფესორ ვორონინის ლექცია რუსულ ენაზე; თემა: **„სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემა“.**

ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში 12-დან 6 საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე, აგრეთვე ყველა პარტკაბინეტში.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.**

O

7 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში პროფ. გ. გეხტმანი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: **„ხმელთაშუა ზღვის პრობლემა“.**

შესვლა თავისუფალია.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის** საალრიცხვო სექტორში უნდა გამოცხადდნენ ამხანაგები: სანდრო ნიკოს-ძე გოცირიძე და ერასტი ალექსანდრეს-ძე გვეტაძე.

**საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2857371, გაცემული გუგული ივლიანეს-ასულ დოლიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „პატარა კახი“ (მე-31 აბ.), დღისით — „კომბლე“, სანკულტურის ქართული თეატრი — „ბრმა მუსიკოსი“, გრიბოედოვის სახელობის — „ერნანი“ (აბ. გარეშე).

**კინოებში:** რუსთაველის სახ. — „უმზითვო პატარძალი“, დღისით — „მეოთხე პერისკოპი“, ოქტომბერი — „დიდი ვალსი“, დამკვრელი (ზამთრის) — „გადასახლელი“, დამკვრელი (ზაფხულის) — „ღამე სექტემბერში“, დღისით — „უკანასკნელი მასკარადი“, კომკავშირელი (ზამთრის) — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, კომკავშირელი (ზაფხულის) — „დაკარგული სამოთხე“, ლუქსემბურგის სახ. — „მშვენიერი ვასილისა“, დღისით — „მშვენიერი ვასილისა“, სპარტაკი — „ფუნთუშა“, დღისით — „სტეფანე რაზინი“, 26 კომ. სახ. (ზამთრის) — „პეპო“, 26 კომ. სახ. (ზაფხულის) — „სტეფანე რაზინი“, კომინტერნი — „უკანასკნელი ბანაკი“, განთიადი — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, ვოროშილოვის სახ. კლუბი — „დედაკაცნი“, წითელი არმიის სახლი — „არშაულა“, წითელი არმიის სახლის პარკი — „მეოთხე პერისკოპი“, ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „საყვარელი ქალიშვილი“, ორჯონიკიძის სახ. პარკი — „გამანადგურებლები“.

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პ. რატიანი**


**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
1940-41 წ. წ. სეზონი

6 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**გიორგი სააკაძე**

8 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**გიორგი სააკაძე**

9 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**უდანაშაულო დამნაშავენი**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12 ს-დან საღ 9 საათამდე
აბონემენტების გაცემა გრძელდება.

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**
1940-41 წ. წ. სეზონი.

6 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**ბედნიერება**

8 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**მადამ სან-ჟენ**

9 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე
**ბედნიერება**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
6 ოქტომბერს დღისით **ბედნიერება**
დასაწყისი დღის 12 ს.

**25000 თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ** მანეთი
**1938 წ. სესხით**
შეიძინეთ 1938 წლის სესხის ობლიგაციები!
მოგებები სესხით დაწესებულია:
25000
10000
5000
1000
400
მანეთი
უოველწლიურად მოგებათა გათამაშების 6 ტირაჟია.
მორიგი ტირაჟი შესდგება 11 ოქტომბერს ქ. სვერდლოვსკში.
ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა შემნახველ სალაროებში.
საქ. შრომის შემნახველ სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.
100

**საქსახესტრადის სახაფხულო თეატრი**
**ლ ვ ო ვ ი ს** მინიატიურის და ჯაზ-ორკესტრის სახთეატრის გასტროლები
8, 9, 10 ოქტომბერს პირველი პროგრამა **„ბ ე მ ა რ ჯ ვ ე ბ ა თ“**
ჯაზის შემადგენლობა—17 მსახიობი ლიუდო ფილიპის ხელმძღვანელობით. სამხ. ნაწ. გამგე—კონრად ტომი.
ყოველდღე ორი წარმოდგენა I წარმოდგენა დასაწყისი საღ. 8—15 წ.
II „ „ „ 10—15 წ.
ბილეთები იყიდება წინასწარ.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი**

| 6 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე | 8 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე | 9 ოქტომბერს |
| --- | --- | --- |
| **კ ა რ მ ე ნ** | **ბაღჩისარაის შადრევანი** | **ჩიო-ჩიო-სან** |

დაწყებულია მე-2 მორიგი გადასახადის მიღება ყველა აბონემენტის მიხედვით.
საბილეთო სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე და 5-დან საღ. 9 საათამდე.
საბონემენტო სალარო ღიაა დილის 11-დან 5 საათამდე და საღ. 7-დან 9ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ა ც ხ ა დ ე ბ ს,**
რომ 1940 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ინსტიტუტის I კორპუსში (მარის ქ. № 35) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც დისერტაციას დაიცავს:
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ირაკლი დიმიტრის-ძე **ბათიაშვილი** თემაზე: „Серебристый клещик (Phyllocoptruta oleivorus Ashm.) в условиях Черноморского побережья Грузии и факторы, регулирующие его размножение“.
ოფიციალური ოპონენტები: 1) ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. გ. ი. ბეი-ბიენკო.
2. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ფ. ა. ზაიცევი.
3) ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ლ. პ. კალანდაძე.
4) პროფესორი ნ. ვ. ხაჭაპურიძე.
მსურველებს შეუძლიანთ შრომას გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
1195
ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.


მთავარი საგზაო სამმართველოს მე-3 უბნის თანამშრომლები იუწყებიან ამავე უბნის თანამშრომლის ინჟინერ დიმიტრი ღლონტის მამის
**ნიკოლოზ ღლონტის**
გარდაცვალებას. 8198

თინა გუგუშვილი ქმრით გოგით, შვილით ცირათი იუწყება სიძის
**ბიძინა გელოვანის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/X 4 ს. კობის ჩიხი 8, ვაკის სასაფლაოზე. 419

მშობლები ქეთევან, ალექსანდრე შვილებით ცისანათი და გულნარარათი, ბაბო ტასო, ბაპა პავლე მეღლიშვილები შვილებით და სიძეებით იუწყებიან
**მედეა კალმახელიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/X და 7/X 8 ს. პლეხანოვის პროსპ., 23. დაკრძალვა 8/X, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 6/X აბაშაში დანიშნულია ამავე კათედრის ასისტენტ ჩიტო შომახიას მამის
**რომანოზ თედორეს-ძე შომახიას**
პანაშვიდი. 8214

მაგნოლია და ლადო შავგულიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ანელია და კაკო ჟღენტებს მათი მამის
**ი ს ა კ ი ს**
გარდაცვალების გამო. 8215

შალვა, ნინო ხუბუები შვილებით ჯუმბერით და მზიათი, ცოლისდა ქენია, სიდედრი ანა კაზიშვილები იუწყებიან
**იუზია პორფირეს-ძე რევიშვილის**
გარდაცვალებას. 8218

შვილები ქრისტინე, გუგული, დარიკო, ვანიჩკა, გრიშა, რძლები თინა, ლენა შვილებით იუწყებიან
**ნატა გიგოს-ასულ კვანტალიანის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/X ს. კულაშში. 8219

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მუშაკები ადამია, ფალიანი, სადილიანი, ჩარკვიანი, ჭკადუა, გოშთელიანი, ჯ. ფილფანი, მერლანი, გრძელიშვილი, ჭარგიანი, ვ. კვანჭიანი, კვანჭიანი, კვიციანი, გუჯეჯიანი, ჯაფარიძე, ჯიქია, გვარლიანი იუწყებიან დ. წულეისკირის მეუღლის
**მ ა ნ ი ა ს**
გარდაცვალებას.

ძმა იოსებ შვილებით აკაკით, გერმანეთი, ვახტანგით, სარათი, რძლით კლავდიათი იუწყება
**ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ღლონტის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/X 4 ს. პეტრიაშვილის, 26—ა. 8210

საქართველოს შინსახკომის თანამშრომლები: ზარელუა, სიმონიანი, ქისტაუტუროვი, სანაკოევი, ვოლფენზონი, მოსიაშვილი, გაგუა, თავყელაშვილი, გაბისონია, გოგიტიძე, ნიბლიაშვილი, თურმანიძე, ბაგდავაშვილი, გაფრინდაშვილი თანაუგრძნობენ ამხ. გრ. კვანტალიანს მისი დედის
**ნატა კვანტალიანის**
გარდაცვალების გამო.

დედა პუპი, შვილები გიორგი, ოლია, ვახტანგ, რძალი ნადია, ძმები ნიკო, ვანო ცოლშვილით, დები თამარ, მარო იუწყებიან
**ელენე ნადირაძე-მახარაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/X ბათუმში. 8212

ძმები ჟორა, ვახტანგ, არჩილ, დები ლიდა, ნინო ოჯახებით იუწყებიან
**იუსტინე (იუზა) პორფირეს-ძე რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი ს**
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/X 5 ს. ქუთაისის, 36, კუკიის სასაფლაოზე. 8213

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ინსტიტუტის ბავშვთა კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ
**კალისტრატე მელიტონის-ძე ძ ა ძ ა მ ი ა ს**
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/X 5 ს. ყოფ. მიხეილის პროზექტურიდან სადგურზე. 8217

მშობლები, ძმები, რძლები მორჩილაძეები, მეუღლე, დედამთილი, მამამთილი, მულები იუწყებიან
**ზეინაბ ივანეს-ასულ მორჩილაძე-კენჩხაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/X 5 ს. დასავლეთის, 30, კუკიის სასაფლაოზე. 8216

თამარ ხელაშვილი და ვასო კახიძე შვილებით იუწყებიან, რომ 6 ოქტომბერს, დღის 2 საათზე ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დეიდისა და დეიდაშვილის
**მაკრინე და არჩილ ჯალიაშვილების**
სამოქალაქო პანაშვიდი.

ცოლი ეკატერინე, დები ნინო ყანჩელი შვილებით, ელისაბედ იაგულაშვილი, ძმა გიგო ცოლშვილით იუწყებიან, რომ 6/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ივანე სამსონის-ძე ჭილაშვილის**
პანაშვიდი. 8224

შვილი ნათელა, სიძე მიშა აჯიმამუდოვი, დები ევგენია დოლაბერიძე, ოლია ბერიაშვილი, მაზლი გერმან ჯიბლაძე ოჯახით იუწყებიან
**იულია ბერიაშვილი-ჯიბლაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/X 7 ს. გერცენის შეს. 2, დაკრძალვა 8/X 5 ს. 8223

და მ. სულუხია, დისშვილები მოსე, ელენე, ნინო, ოლია, სონია, მარო, თამარ, ქუქული, ცუცა, დარეჯან, რძლები თამარი, თამარ, სიძეები ს. კეჟერაძე, ვ. ბურჭულაძე, ა. ღოღობერიძე, ა. კეკელიძე გ. ანდღულაძე იუწყებიან
**ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ღლონტის**
გარდაცვალებას. 8221

შვილები დულა, ვანო სალაძეები, რძლები მართა, ნიუტა, შვილიშვილები, ნონა, ხათუნა, დათიკო იუწყებიან
**პეპესი დავითის-ასულ სალაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ტელეფაში (ჩხარის რ.). 8211

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 1757